დამტკიცებულია
შპს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა „ინტელექტ-პლიუსის“
პედაგოგიური საბჭოს 2025 წლის
08 სექტემბრის N 1 სხდომაზე

შპს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა „ინტელექტ-პლიუსის“

სასკოლო სასწავლო გეგმა

2025-2026 სასწავლო წელი

შესავალი .....

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ფილოსოფია 5

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მისია 5

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ხედვა 5

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ღირებულებები 5

პრინციპები, რომლებსაც ეყრდნობა სასწავლო პროცესი 5

სწავლების მიზნებისა და პრიორიტეტული თემების რუკა 8

2024-2025 სასწავლო წლის კალენდარი 9

ზოგადსაგანმანათლელო დაწესებულების მეთოდური მიდგომები 10

საგნობრივი კათედრების მუაობის პრინციპები 17

მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების სისტემა .....**Ошибка! Закладка не определена.**8

გამოცდების ტიპები 23

შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი 28

საათობრივი ბადე 30

საგანმანათლებლო რესურსის ჩამონათვალი 30

შინ სწავლება 31

ინკლუზიური განათლება 31

ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული/გაუთვალისწინებელი დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურება 35

სადამრიგებლო პროგრამა 36

პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის პროგრამა 36

მოსწავლეთა უფლებების დაცვა სასწავლო პროცესში 38

ტრანზიციის მხარდამჭერი აქტივობები 39

სასკოლო კურიკულუმი 40

პერსონალის მართვა 42

მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა 42

საინფორმაციო რესურსები 42

ფინანსური რესურსები 43

მოსწავლეთა აღზრდისა და მხარდაჭერის სისტემები 43

შესავალი

2025-2026 სასწავლო წლის სკოლის სასწავლო გეგმაშემუშავებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 18 მაისის N40/ნ და 2011 წლის 11 მარტის N36/ნ ბრძანებით დამტკიცებული ეროვნული სასწავლო გეგმების მიხედვით და მოიცავს დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების კურიკულუმებს.

სკოლაში სწავლება მიმდინარეობს რუსულ ენაზე დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე. დაწყებითი საფეხური მოიცავს I-VI კლასებს, საბაზო საფეხური - VII-X კლასებს, ხოლო საშუალო საფეხური- XI-XII კლასებს.

დაწყებით საფეხურზე სკოლა უზრუნველყოფს:

ა) ფუნდამენტური აკადემიური უნარების - წიგნიერებისა და რაოდენობრივი წიგნიერების განვითარების ხელშეწყობას;

ბ) სასკოლო გარემოსა და სწავლის მიმართ დადებითი დამოკიდებულების, პოზიტიური აკადემიური თვითკონცეფციის (საკუთარი თავის, როგორც მსწავლელის, აღქმა) ჩამოყალიბებას და მოსწავლის მომზადებას საბაზო საფეხურისთვის;

საბაზო საფეხურზე სკოლა უზრუნველყოფს:

ა) საგანთა სწავლა-სწავლების საფუძველზე მყარი, დინამიკური და ფუნქციური ცოდნის კონსტრუირებას;

ბ) მოსწავლის ინტერესებისა და მიდრეკილებების გამოვლენასა და მხარდაჭერას;

გ) მოსწავლის დამოუკიდებელი სწავლის უნარისა და შრომისუნარიანობის განვითარებას;

დ) აქტიური მოქალაქის ფორმირების ხელშეწყობასა და საფუძვლების შექმნას განათლების მომდევნო საფეხურზე (აკადემიური, პროფესიული) სწავლის გაგრძელებისთვის ან პროფესიული საქმიანობისთვის;

საშუალო საფეხურზე სკოლა უზრუნველყოფს:

ა) სისტემური აკადემიური და/ან პროფესიული ცოდნის კონსტრუირებას;

ბ) მოსწავლის მიერ საკუთარი პიროვნული განვითარების დაგეგმვისა და აკადემიური/პროფესიული ორიენტაციის მხარდაჭერას.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ფილოსოფია

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მისია

შპს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა „ინტელექტ-პლიუსის“ მისიაა, შექმნას პროფესიონალიზმის ზრდადობაზე დაფუძნებული, ჯანსაღი სასწავლო გარემო როგორც ქართული, ისე საქართველოში მაცხოვრებელი ეთნიკური ჯგუფების, მათ შორის, არაქართულენოვანი მოსწავლეებისათვის სკოლის მიერ შეთავაზებული ზოგადსაგანმანათლებლო სერვისების მიწოდების გზით - მიიღონ თანამედროვე ტიპის განათლება, მათი საჭიროებისა და ინტერესების გათვალისწინებით გამოავლინონ და განავითარონ თავიანთი პოტენციალი და მოახდინონ ინტეგრაცია მსოფლიო და ქართულ სახელმწიფოებრივ სივრცეში.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ხედვა

„შპს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა „ინტელექტ-პლიუსი“, 2030 წლის ბოლომდე გეგმავს, სკოლაში არსებული მატერიალური და ინტელექტუალური რესურსის სრული მოდერნიზაციით, ასევე, ღია და გამჭირვალე გზით მოძიებული კვალიფიციური კადრების მეშვეობით თავისი მოსწავლეების, მშობლების და სასკოლო თემსათვის უზრუნველყოს საქართველოს ისტორიულ-ეროვნულ კულტურასა და ტრადიციებზე დაფუძნებული, წარმატებული საგანმანათლებლო მომსახურების შეთავაზება, რის საფუძველზეც ჩვენი სკოლა გახდება ზოგადი განათლების სერვისის თვალსაჩინო მიმწოდებელი ქვეყანაში მცხოვრები, უცხო ენაზე განათლების მიღების მსურველი არაქართულენოვანი მოსწავლეებისა და სხვა დაინტერესებული პირებისათვის.“

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ღირებულებები

სასკოლო საზოგადოების ყველა წევრმა უნდა იხელმძღვანელოს შემდეგი მიდგომებითა და პრინციპებით:

- საკუთარი შესაძლებლობების და მიღწეული შედეგების მუდმივი ზრდა-განვითარება.
- ინოვაცია და კრეატიულობა;
- თანამშრომლობითი კულტურის დანერგვა და პასუხისმგებლობის გაზიარება.
- ტოლერანტობა და ურთიერთპატივისცემა.

პრინციპები, რომლებსაც ეყრდნობა სასწავლო პროცესი

1. სკოლა უზრუნველყოფს:

ა) სიღრმისეულ სწავლას;

ბ) პოზიტიურ სასწავლო გარემოს;

გ) ინკლუზიურ განათლებას.

2. სიღრმისეული სწავლა-სწავლება გულისხმობს:

ა) მოსწავლის შინაგანი ძალების გააქტიურებას;
ბ) ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირებას;
გ) ცოდნათა ურთიერთდაკავშირებას და ორგანიზებას;
დ) სწავლის სტრატეგიების დაუფლებას (სწავლის სწავლა);
ე) მყარი, დინამიკური და ფუნქციური ცოდნის შეძენას.

- მოსწავლე ჩართული იყოს აქტიურ შემოქმედებით პროცესებში და არ იყოს პასიური მსმენელი **(აქტიური სწავლა);**
- მოსწავლეს ახალი ცოდნა მიეწოდებოდეს არა ერთბაშად, მომზადების გარეშე, არამედ თანდათანობით მის წინარე ცოდნასა და გამოცდილებაზე დაყრდნობით **(ახალი ცოდნის კონსტრუირება წინარე ცოდნაზე დაყრდნობით);**
- მოსწავლე იღებდეს არა დაქსაქსულ და დანაწევრებულ ინფორმაციას, არამედ ამ ინფორმაციას იაზრებდეს და უკავშირებდეს ადრე ნასწავლს **(ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება);**
- ყურადღება გამახვილდეს სწავლის სტრატეგიებზე **(სწავლის სწავლა);**
- ყურადღება გამახვილდეს არა მხოლოდ დეკლარატიულ და პროცედურულ ცოდნაზე, არამედ ნასწავლის ცხოვრებასთან დაკავშირებაზე **(ცოდნის სამი კატეგორია).**

- ყველა მოსწავლე არის უნიკალური თავისი ინდივიდუალური ფიზიკური და ფსიქიკური მახასიათებლებით, შესაძლებლობებით, ემოციებით, ინტერესებით, პირადი გამოცდილებით, აკადემიური საჭიროებებით და სწავლის სტილით, რაც გათვალისწინებულია სწავლა-სწავლების დროს;
- სწავლა მიმდინარეობს პოზიტიურ და მოწესრიგებულ გარემოში, სადაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება პოზიტიურ ურთიერთობებსა და ინტერაქციას, სადაც მოსწავლე არის დაფასებული, აღიარებული და მასწავლებელთან ერთად არის პასუხისმგებელი საკუთარ სწავლასა და განვითარებაზე.
- სწავლა-სწავლების პროცესში თანასწორუფლებიანობის დაცვის მიზნით შექმნილია ყველა პირობა მოსწავლეების განვითარების თანაბარი შესაძლებლობის მისაცემად, სკოლა ვალდებულია მოსწავლეები უზრუნველყოს მრავალფეროვანი სასწავლო პროცესით - ინდივიდუალური მიდგომისას სხვადასხვა მეთოდის, სტრატეგიის, პრობლემათა გადაჭრის გზებისა თუ აქტივობათა ტიპების გამოყენებით.

- სკოლა ორიენტირებულია მოსწავლის მოტივაციის გაზრდაზე. მოსწავლე ხედავს დავალების მიზანს, მის საჭიროებას, კავშირს სკოლაში მიმდინარე საქმიანობასა და სკოლის გარეთ მიმდინარე ცხოვრებას შორის.

- სკოლა უვითარებს მოსწავლეებს საკუთარი მოვალეობების გააზრების და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უნარ-ჩვევებს. ამავე დროს ქმნის მშვიდ და საქმიან გარემოს.

- სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა თანაბარი ჩართულობა, ისინი არა მხოლოდ აქტიურად მონაწილეობენ განათლების მიღების პროცესში, ასევე საშუალება აქვთ ერთმანეთს დაეხმარონ და მონაწილეობა მიიღონ თანატოლების სწავლა-სწავლების პროცესშიც.

3. სკოლა უზრუნველყოფს პოზიტიური სასწავლო გარემოს შექმნას, რომელშიც მოსწავლე თავს გრძნობს ემოციურად და ფიზიკურად უსაფრთხოდ და ახერხებს შემდეგი ფუნქციურ-კომპონენტური უნარების გამოვლენა-განვითარებას:

კრიტიკული აზროვნება	• მოსწავლეს ეძლევა ფაქტების ანალიზის, იდეების გენერირებისა და ორგანიზების, მოსაზრებების დაცვის, შედარების, დასკვნების გამოტანის, არგუმენტების შეფასებისა და პრობლემების გადაჭრის შესაძლებლობა;
შემოქმედებითი აზროვნება	• მოსწავლეს ეძლევა საშუალება შეაფასოს პრობლემა და გამოწვევა სხვადასხვა პერსპექტივიდან, ჩამოაყალიბოს ალტერნატიული პასუხები და ხედვები, დაგეგმოს და შეიმუშაოს პრობლემის გადაჭრის საკუთარი მოდელი;
თანამშრომლობა	• მოსწავლეს ეძლევა საშუალება წარმატებით იმუშაოს სხვებთან ერთად საერთო მიზნის მისაღწევად. გაიაზროს საერთო პასუხისმგებლობა ინდივიდუალურ პასუხისმგებლობასთან ერთად. გააცნობიეროს გუნდური მუშაობის პრინციპები და ურთიერთობის ფორმები;
კომუნიკაცია	• მოსწავლეს ეძლევა საშუალება დაამყაროს მიზნობრივი ურთიერთობა სხვებთან და გამოხატოს საკუთარი თავი, როგორც ვერბალურად, ასევე არავერბალურად კულტურისა და სიტუაციის შესაბამისად; იყოს აქტიური, კეთილგანწყობილი, ემპათიური მსმენელი, განახორციელოს უკუკავშირი და

	რეფლექსია; გააცნობიეროს საკუთარი პასუხისმგებლობა კომუნიკაციის პროცესში;
ხასიათი/ნებელობა	• მოსწავლეს ეძლევა საკუთარი შესაძლებლობებისა და ინტერესების შესწავლის, იდენტობის გააზრების, სწავლის პროცესის მართვის შესაძლებლობა. მხარდაჭერილია მოსწავლის პიროვნული ზრდის მოთხოვნილებები და წახალისებულია მისი თვითაქტუალიზაციის პროცესი; სწავლის პროცესის მონიტორინგი - დაფიქრება სწავლის პროცესზე, იმ პირობების და ფაქტორების ამოცნობა, რომლებიც ხელს უწყობს ან აფერხებს წინსვლას, სათანადო ზომების მიღება წინსვლის ხელშესაწყობად; თვითშეფასება ძლიერი და სუსტი მხარეების დასადგენად, სუსტი მხარეების გასაძლიერებლად გზების დასახვა;
მოქალაქეობა	• მოსწავლეს ეძლევა საშუალება სხვათა ღირებულებებისა და ფასეულობების გათვალისწინებით იმსჯელოს და იფიქროს იმ გლობალური/კომპლექსური საკითხების გაანალიზებასა და მოგვარებაზე, რომლებიც გავლენას ახდენს ადამიანისა და გარემოს მდგრადობაზე. გააცნობიეროს უნივერსალური ეთიკის პრინციპები და ინდივიდის როლი და თანაშემოქმედებითობა საზოგადოების ჩამოყალიბების პროცესში.

4. ინკლუზიური განათლება გულისხმობს:

ა) ადამიანის ღირსებისა და უფლებების დაცვას;
ბ) მრავალფეროვნების დაფასებას;
გ) რესურსების თანაბრად განაწილების პოლიტიკას;
დ) დემოკრატიის, სამართლიანობის, კეთილსინდისიერების, თანასწორობისა და კანონის უზენაესობის დაფასებას;
ე) ყველა მოსწავლისთვის თანაბრად ხელმისაწვდომ საგანმანათლებლო პროცესს; სწავლა-სწავლების პროცესში სწავლების უნივერსალური დიზაინის გამოყენებას;
ვ) სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) მოსწავლისთვის დამატებითი მხარდაჭერის უზრუნველყოფას;
ზ) მოსწავლის უფლებას, მონაწილეობა მიიღოს საკუთარი საგანმანათლებლო გამოცდილების მართვაში; განივითაროს საკუთარი პოტენციალი და გახდეს მის გარშემო მიმდინარე პროცესების აქტიური მონაწილე;
თ) სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრი თავს უნდა გრძნობდეს სასკოლო თემის ნაწილად და საკუთარი წვლილი შეჰქონდეს მის განვითარებაში.

სწავლების მიზნებისა და პრიორიტეტული თემების რუკა

ზოგადი განათლების ეროვნული მიზნებიდან გამომდინარე, ეროვნული სასწავლო გეგმა გამოყოფს პრიორიტეტულ თემებს:

1) კულტურული მემკვიდრეობის დაცვა;
2) გარემოს დაცვა;
3) ჯანსაღი ცხოვრება;
4) სამოქალაქო უსაფრთხოება;
5) კონფლიქტების მართვა;
6) ფინანსური წიგნიერება;
7) კულტურული მრავალფეროვნება;
8) ადამიანის უფლებები.

ამ თემების საშუალებით სასწავლო პროცესი დაგეგმილია ისე, რომ მოსწავლეს განუვითაროს შემდეგი გამჭოლი უნარები და ღირებულებები:

- პრობლემების გადაჭრა;
- კრიტიკული აზროვნება;
- შემოქმედებითი აზროვენება;
- თანამშრომლობა;
- კომუნიკაცია;
- ეთიკა;
- მეწარმეობა, ინიციატივების გამოვლენა და საქმედ ქცევა;
- დროსა და სივრცეში ორიენტირება;
- კვლევა;
- სწავლის სწავლა, დამოუკიდებლად საქმიანობა;
- პასუხისმგებლობა;
- ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება;
- წიგნიერება.

2025-2026 სასწავლო წლის კალენდარი

1. სასწავლო წელი ითვალისწინებს ორ სემესტრს. სასწავლო წელს ორ სემესტრად ყოფს ზამთრის არდადეგები.

2. 2025-2026 სასწავლო წლის დაწყების თარიღია: 2025 წლის 15 სექტემბერი, ხოლო დასრულების - 2026 წლის 15 ივნისი, გარდა I და XII კლასისა;

3. XII კლასის მოსწავლეთათვის 2025-2026 სასწავლო წლის დასრულების თარიღია: 2026 წლის 20 მაისი;

4. I კლასის მოსწავლეთათვის 2025-2026 სასწავლო წლის დასრულების თარიღია: 2026 წლის 3 ივნისი;

5. 2025-2026 სასწავლო წლის პირველი სემესტრი მთავრდება 2025 წლის 26 დეკემბერს. მეორე სემესტრი იწყება 2026 წლის 15 იანვარს;

არდადეგები
29.12.2025 - 14.01.2026 - ზამთრის არდადეგები
8.03.2026 - 15.03.2026 - საგაზაფხულო არდადეგები
3.11.2025- 7.11.2025- საშემოდგომო არდადეგები პირველკლასელებისთვის

არდადეგები და უქმე დღეები	
14.10.2025	სვეტიცხოვლობა
19.01.2026	ნათლისღება
3.03.2026	დედის დღე
09.04.2026	დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის მიღების დღე
10.04-14.04.2026	სააღდგომო დღეები
12.05.2026	წმ.ანდრია პირველწოდებულთა ხსენების დღე
26.05.2026	დამოუკიდებლობის დღე

6. სასწავლო კვირა ხუთდღიანია.

7. სკოლაში გაკვეთილების ხანგრძლივობა განისაზღვრება შემდეგი სახით:

- I კლასში გაკვეთილის ხანგრძლივობაა 35 წუთი;
- II კლასში გაკვეთილის ხანგრძლივობაა 40 წუთი;
- III-XII კლასებში გაკვეთილის ხანგრძლივობაა 45 წუთი.

8. გაკვეთილების დაწყებისა და დასრულების განრიგი, სადაც მოცემულია შესვენებებიც, დანართი N1 სახით თან ერთვის სასკოლო სასწავლო გეგმას.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მეთოდური მიდგომები

- **ახსნა-განმარტება** - აკადემიური აქტივობა, რომლის დროსაც მასწავლებელი ხსნის კონკრეტული თემის საკვანძო საკითხებს, განმარტავს მათ მაგალითებით

და პასუხობს გაჩენილ კითხვებს. გაკვეთილის ფარგლებში ახსნა-განმარტების გზით მასწავლებელი უადვილებს მოსწავლეებს დამოუკიდებლად დასამუშავებელი მასალის გაგება-გააზრებას.

- **ინტერაქტიული მუშაობა** - აკადემიური აქტივობა, რომელიც გულისხმობს გაკვეთილის ფარგლებში თემის დამუშავებას მოსწავლეებთან აქტიური დიალოგის ფორმატში. ინტერაქტიული მუშაობა იძლევა მოსწავლეთა ყურადღების მიპყრობისა და შენარჩუნების, ისევე როგორც გაკვეთილის მსვლელობისას მიწოდებული ახალი ინფორმაციის გააზრების დონის განსაზღვრის საშუალებას.
- **აუდიო-ვიზუალური მუშაობა** - აკადემიური აქტივობა, რომელიც გულისხმობს გაკვეთილის ფარგლებში მოსწავლეებისთვის მასალის აუდიო და/ან ვიზუალური გზით მიწოდებას ისეთი ელექტრონული და/ან მატერიალური საშუალებების გამოყენებით, როგორიცაა სლაიდები, ვიდეო რგოლები, აუდიო ჩანაწერები, ფოტოები და სხვა. პრეზენტაციისას მოსწავლეებში ერთდროულად აქტიურდება სმენითი და მხედველობითი შეგრძნებები, რაც უზრუნველყოფს ინფორმაციის დამახსოვრების მაღალ ხარისხს.
- **დემონსტრირება** - აკადემიური აქტივობა, რომელიც გულისხმობს სწავლებას კეთებით, რა დროსაც მასწავლებელი დამკვირვებლების რეჟიმში მყოფ მოსწავლეებს აჩვენებს, თუ როგორ უნდა შესრულდეს კონკრეტული თეორიული ან პრაქტიკული დავალება. დემონსტრირების მიზანია თვალსაჩინო გახდეს სასწავლო მასალის სხვადასხვა შემადგენელი და დაკონკრეტდეს, რისი გაკეთება მოუწევთ მოსწავლეებს დამოუკიდებელი მუშაობისას.

სამუშაო ჯგუფში მუშაობა

მეთოდის აღწერა:

სამუშაო ჯგუფში მუშაობის მეთოდი აერთიანებს სწავლების ყველა იმ აქტივობას, რომელიც მოსწავლეს კოგნიტურთან ერთად პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს უყალიბებს. მოსწავლეების ინდივიდუალური/ჯგუფური მუშაობა წარიმართება სასწავლო კურიკულუმებში კონკრეტული თემატიკის დაუფლების მიზნით გაწერილი სასწავლო აქტივობების (სასემინარო თემის მომზადება; დისკუსიის, დებატების, სიმულაციური თამაშების გამართვა; ქეისების, პრობლემური სიტუაციების განხილვა; პრაქტიკული დავალებების/სავარჯიშოების ინდივიდუალური/ჯგუფში შესრულება; საშინაო დავალების განხილვა და სხვა) გამოყენებით. ამ მეთოდის მიზანია მოსწავლეებს

მიეცეს გაკვეთილებზე მოსმენილი თემების გარშემო ცოდნის გაღრმავება-დაკონკრეტების საშუალება, ხელი შეუწყოს პრაქტიკული ხასიათის აქტივობების განხორციელებით მოსწავლეთა ცოდნის განმტკიცებისა და მისი პრაქტიკაში გამოყენების უნარ-ჩვევების განვითარებას. სამუშაო ჯგუფში მუშაობა გულისხმობს შემდეგ აქტივობებს:

- **გონებრივი იერიში (Brainstorming)** - აკადემიური აქტივობა, რომელიც გულისხმობს მასწავლებელის მიერ კონკრეტული საკითხის შესახებ მოსწავლეებისგან მოკლე დროში მაქსიმალურად მეტი, სასურველია რადიკალურად განსხვავებული, აზრის, იდეის შეგროვებას, კატეგორიზაციას და ერთმანეთთან დაკავშირებას. გონებრივი იერიშის შედეგების უკეთესი ვიზუალიზაციისთვის შეიძლება გამოყენებულ იქნეს მენტალური რუკაც.

- **დისკუსია/დებატები** - აკადემიური აქტივობა, რომლის დროსაც მოსწავლეები განიხილავენ მასწავლებელის მიერ წამოჭრილ პრობლემას/თემას/საკითხს და ცვლიან აზრებს. დისკუსია ემსახურება გაკვეთილის და დამოუკიდებელი მუშაობის შედეგად შეძენილი ცოდნის გაღრმავება-განმტკიცების მიზანს, და ამასთან უვითარებს მოსწავლეებს საკუთარი მოსაზრებების დაფიქსირების, მსჯელობისა და არგუმენტირების უნარებს. დისკუსია შეიძლება გადაიზარდოს დებატებშიც, რა შემთხვევაშიც ხდება შეხედულებათა შეპირისპირება, მოსწავლეები სვამენ კრიტიკულ კითხვებს და მიმართავენ დარწმუნების ხერხებს.

- **პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL)** - აკადემიური აქტივობა, რომელიც ამოსავალ წერტილად იღებს პრობლემას. მოსწავლეები ცდილობენ მასწავლებელის მიერ წამოჭრილი პრობლემის გაგება-გააზრებას და ეძებენ მისი მოგვარების საუკეთესო გზას, რა დროსაც აქტუალური საჭიროებების საფუძველზე იძენენ ახალ ცოდნას და გამოიმუშავებენ პრობლემების გადაჭრის უნარს. პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება მიმდინარეობს ღია და მხარდამჭერ გარემოში, სადაც მასწავლებელი ასრულებს მხოლოდ და მხოლოდ პროცესის ფასილიტატორის როლს.

- **ჯგუფური (collaborative) მუშაობა** - ამ აქტივობის გამოყენებით სწავლება გულისხმობს მოსწავლეთა მცირე ჯგუფებად დაყოფას და მათთვის სასწავლო დავალებების მიცემას. მცირე ჯგუფებად დაყოფილ მოსწავლეებს სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, ეძლევა რაიმე სასწავლო დავალება (სიტუაციის ანალიზი; გეგმის/სტრატეგიის შეფასება; პროექტის ან/და

დოკუმენტის მონახაზის შექმნა; პრობლემის იდენტიფიცირება და გადაწყვეტა და სხვა), რომლის შესასრულებლად ჯგუფის წევრები ინდივიდუალურად ამუშავებენ საკითხს და პარალელურად უზიარებენ მას ჯგუფის დანარჩენ წევრებს. დასახული ამოცანიდან გამომდინარე შესაძლებელია ჯგუფის მუშაობის პროცესში წევრებს შორის მოხდეს ფუნქციების გადანაწილება. ეს სტრატეგია უზრუნველყოფს ყველა მოსწავლის მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პროცესში და ხელს უწყობს გუნდში მუშაობის უნარ-ჩვევების გამომუშავებას, ეხმარება მოსწავლეს საკუთარი აზრის არგუმენტირების, სხვისი აზრის მოსმენის, შეზღუდულ დროში სწრაფი ანალიზის უნარის გამომუშავებაში. ამდენად, სამუშაო ჯგუფში მუშაობა მნიშვნელოვნად უწყობს ხელს გაკვეთილებზე მიღებული ცოდნის გაღრმავებას და დაკონკრეტებას, საკითხების სისტემურ და კომპლექსურ გააზრებას, სხვადასხვა აქტივობების განხორციელებით მოსწავლეთა ცოდნის განმტკიცებას და მისი პრაქტიკაში გამოყენების უნარ-ჩვევების განვითარებას.

- **სავარჯიშოებზე მუშაობა** - აკადემიური აქტივობა, რომელიც გულისხმობს მასწავლებელის ზედამხედველობისა და შემდგომი უკუკავშირის ფორმატში, მოსწავლეების მიერ დროის დათქმულ მონაკვეთში სავარჯიშოების დამოუკიდებლად შესრულებას თეორიული ცოდნის განმტკიცებისა და მისი პრაქტიკულად გამოყენების უნარის განვითარების მიზნით.

- **შემთხვევის შესწავლა (Case Study)** - აკადემიური აქტივობა, რომლის დროსაც მოსწავლეები ახორციელებენ ისეთი შემთხვევის (ქეისის) ანალიზს, რომელიც დამახასიათებელი ან განსაკუთრებულია/გამონაკლისია კონკრეტული დარგისთვის. ანალიზი გულისხმობს შემთხვევის ყოველმხრივ განხილვას, მის ცალკეულ ასპექტებს შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დადგენას, მათ ახსნასა და ინტერპრეტირებას. შემთხვევის შესწავლის გზით მოსწავლეებს უვითარდებათ ლოგიკური და კრიტიკული აზროვნების, ასევე დასკვნის გაკეთების უნარი.

- **კაზუსის ამოხსნა** - აქტივობა, რომელიც გულისხმობს შემთხვევის შესწავლას სამართლებრივი ურთიერთობების პრაქტიკიდან (კაზუსის გარდა, ეს მეთოდი შეიძლება გულისხმობდეს კონკრეტული სამართლებრივი აქტებისა თუ სამართლებრივი ნორმების შესწავლას). სამართლის დარგში, ქეისებს აქვთ კაზუსის სახე და მათი ამოხსნა გულისხმობს დასმული სამართლებრივი პრობლემის გადაჭრის გზების პოვნას. კაზუსის ამოხსნა მოსწავლეებში

ავითარებს ლოგიკური მსჯელობის, არგუმენტაციის და დასაბუთებული დასკვნების გაკეთების უნარებს.

- **სიტუაციურ ამოცანებზე მუშაობა** - აქტივობა, რომლის დროსაც მოსწავლეები რეალობასთან მაქსიმალურად მიახლოებულ (სიმულაციურ) სიტუაციაში მასწავლებელის მიერ მინიჭებული როლების შესაბამისად წყვეტენ დასმულ ამოცანებს. სიტუაციურ ამოცანებზე მუშაობა არის პრაქტიკული ტრენინგი, რომელიც მოსწავლეებს გამოუმუშავებს ანალიტიკური და კრიტიკული აზროვნების, ისევე როგორც ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარებს. ჯგუფური და სტანდარტიზებული სიმულაციის შემთხვევაში, სიტუაციური ამოცანა იღებს როლური თამაშის ფორმას, რაც დამატებით მოსწავლეებს აძლევს საშუალებას საკითხს/პრობლემას მრავალმხრივი პერსპექტივიდან ეზიარონ.
- **დავალებაზე დაფუძნებული სწავლება (Task-Based Learning - TBL)** - ინტერაქტიური სწავლების ერთ-ერთი ეფექტიანი აქტივობაა და მნიშვნელოვან როლს ასრულებს სასკოლო სასწავლო გეგმის ცალკეული კურიკულუმში გაწერილი შედეგების მიღწევაში. დავალებაზე / ამოცანაზე დაფუძნებული სწავლის პროცესში სწავლება მიმდინარეობს მოსწავლეებისათვის სხვადასხვა სასწავლო დავალებების (რომელიც შეიძლება მიწოდებული იყოს: კონკრეტული სიტუაციის, სავარჯიშოს, პრაქტიკული დავალების ან რაიმე სხვა სახით) და მათი შესრულების ინსტრუქციების კომბინირებით. სწავლების პროცესში ამ აქტივობის გამოყენებისას მასწავლებელის ამოცანაა - სწავლის ხელშეწყობა დავალებების მომზადება-შეფასების გზით; ხოლო, მოსწავლის წინაშე დასახულია კონკრეტული დავალება/ამოცანა, რომელიც უნდა გადაიჭრას განსაზღვრული ინსტრუქციის შესაბამისად. აქტივობა ხელს უწყობს მოსწავლის მიერ კონკრეტული ამოცანების გადაწყვეტის საშუალებით თეორიული მასალის თანდათანობით შესწავლას, თეორიული მასალის დამოუკიდებლად გამოყენების ჩვევების გამომუშავებას, საბოლოო ჯამში კი, მმართველობით გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში რაოდენობრივი მეთოდების ან/და კონკრეტული მოდელების/ინსტრუმენტების/ტექნიკების გამოყენების უნარ-ჩვევების განმტკიცებას.
- **წიგნზე (წყაროზე) მუშაობა** და **წერითი მუშაობა** - გამოიყენება მოსწავლის კოგნიტური უნარების (ანალიზი, სინთეზი, დედუქცია, ინდუქცია, წაკითხულის გააზრება, წერითი კომუნიკაცია), აგრეთვე, დამოუკიდებელი მუშაობის უნარ-ჩვევების განვითარების ხელშეწყობის მიზნით. წიგნზე მუშაობა გამოიყენება უპირატესად მოსწავლის მიერ ცალკეული

კურიკულუმით გათვალისწინებული სავალდებულო და დამატებითი ლიტერატურის დამოუკიდებლად გაცნობის, შესაბამისი მასალის შესწავლის, მიცემული საკითების დამუშავებისა და ანალიზისათვის. აღნიშნული საჭიროა სხვადასხვა სახის საშინაო დავალების: საპრეზენტაციო მოხსენებების, დებატების, დისკუსიების, რეფერატის მოსამზადებლად და ეხმარება მოსწავლეს მასალის ათვისებაში, გამოუმუშავებს რელევანტური ლიტერატურის, საინფორმაციო წყაროების, საკანონმდებლო და სხვა მასალის დამოუკიდებლად მოძიება-დამუშავებისა და დასკვნის გაკეთების უნარ-ჩვევებს. წერითი მუშაობა გულისხმობს ამონაწერებისა და ჩანაწერების გაკეთებას, მასალის დაკონსპექტებას, თეზისების შედგენას, რეფერატის ან ესეს შესრულებას, სიტუაციის წერილობით ანალიზს, ანგარიშის ან/და სხვა წერილობითი დოკუმენტის მომზადებას, და სხვ. სასკოლო სასწავლო გეგმის განხორციელების პროცესში, წერითი მუშაობა გამოიყენება უპირატესად წაკითხული ლიტერატურის დ/ან საინფორმაციო წყაროდან/აუდიო-ვიზუალური მასალიდან მთავარი ამონარიდის გაკეთებისას, თეზისების შედგენის, ქეისის წერილობითი ანალიზისას, წერითი დავალებების/ამოცანების/ სავარჯიშოების შესრულების, ესეს ან რეფერატის შესრულებისას და სხვ.

- **ელექტრონული რესურსით სწავლება (E-learning)** – ამ მეთოდის გამოყენება ითვალისწინებს განხორციელების პროცესში, ცალკეული კურიკულუმის ფარგლებში, კონკრეტული სპეციფიკური თემების/საკითხების დაუფლების მიზნით ელექტრონული რესურსების გამოყენებას და სწავლებას ინტერნეტით, სხვადასხვა პროგრამული პროდუქტით და/ან მულტიმედიური საშუალებებით. ელექტრონული რესურსებით სწავლება მოსწავლეს აძლევს დარგობრივი ცოდნის გაღრმავების შესაძლებლობას, უვითარებს ინფორმაციის დამოუკიდებლად დამუშავება-სისტემატიზების, გადაწყვეტილების მომზადება-მიღების პროცესში თანამედროვე ტექნოლოგიების ეფექტიანად გამოყენების უნარ-ჩვევებს.

- **პრეზენტაცია** - ქმედებაზე ორიენტირებული სწავლების ერთ-ერთი ეფექტური აქტივობაა, რომლის დროსაც მოსწავლეები მოიძიებენ რელევანტურ მასალებს წინასწარ მოცემულ საკითხებზე და წარმოადგენენ მას ჯგუფის წინაშე ტექნიკური საშუალებების / სადემონსტრაციო მასალების გამოყენებით. კურიკულუმის სპეციფიკიდან გამომდინარე, პრეზენტაცია შეიძლება მომზადდეს ინდივიდუალურად ან ჯგუფური მუშაობის შედეგად. პრეზენტაციის უმთავრესი მიზანია შერჩეული საკითხის დამუშავებისათვის

საჭირო წყაროების მოძიება-დამუშავების ჩვევების გამომუშავება, შესასწავლ საკითხთან დაკავშირებით საკუთარი შეხედულებების ჩამოყალიბების, აგრეთვე, შესრულებული სამუშაოს/საკუთარი კვლევის შედეგების, არგუმენტირებული ორიგინალური დასკვნების / რეკომენდაციების სახით, ზეპირი ფორმით წარდგენისა და განხილვაში/დისკუსიაში მონაწილეობის უნარ-ჩვევების განმტკიცება. წარმოდგენილი პრეზენტაცია მიგვითითებს მოსწავლეების მიერ განვლილი მასალის ცოდნასა და შეძენილ უნარებზე.

- **პროექტის მომზადება და/ან პროექტზე დაფუძნებული სწავლება (Project-Based Learning-PBL)** – ინტერაქტიური სწავლების ერთ-ერთი ეფექტიანი მეთოდია, ის აქტიური და მიზანმიმართული სწავლის საშუალებას იძლევა. პროექტების შემუშავება (ისევე, როგორც ზოგადად, ამ პროექტზე დაფუძნებული სწავლება) კონკრეტული სასწავლო პრობლემის გადაჭრის ან ინიციატივის განხორციელებისკენ მიმართული მრავალფეროვანი სამუშაოა, რომლის დროსაც ვითარდება კვლევითი, შემოქმედებითი, თანამშრომლობისა და საკომუნიკაციო უნარები. პროექტის მომზადება მოიცავს დაგეგმვის, კვლევის, პრაქტიკული აქტივობისა და შედეგების წარმოდგენის ეტაპებს არჩეული საკითხის შესაბამისად.

დამოუკიდებელი მუშაობა

გაკვეთილებზე მოსმენილი მასალა მთლიანი ცოდნის სისტემად ყალიბდება **მოსწავლის დამოუკიდებელი მუშაობით,** რომლის მიზანია: მოსწავლეს აღუძრას წიგნისადმი და სხვა საინფორმაციო წყაროებისადმი ინტერესი, პრობლემური საკითხების დამოუკიდებლად კვლევისა და სიღრმისეულად შესწავლის სურვილი (რაც დამოუკიდებელი აზროვნების, კვლევის, ანალიზისა და დასკვნების გაკეთების სტიმულირების საშუალებაა); განუვითაროს სასკოლო სასწავლო გეგმის ფარგლებში შეთავაზებული კურიკულუმით გასავლელი თემების/ცალკეული საკითხების გარშემო ინფორმაციის დამოუკიდებლად (სასწავლო კურსის ხელმძღვანელოს ჩართულობის გარეშე) მოძიება-დამუშავების, დავალების შესრულებისათვის რესურსების განსაზღვრის, საკუთარი აკადემიური შესაძლებლობის შეფასების და ცოდნის განმტკიცებისათვის სწავლის მეთოდის/სტრატეგიის შერჩევის (სწავლის სწავლის) უნარ-ჩვევები. დამოუკიდებელი მუშაობა - მოიცავს მოსწავლის მიერ სასწავლო დისციპლინის ათვისებისათვის დახარჯული სამუშაო დროის რაოდენობას, რომელიც შეიძლება დასჭირდეს საშუალო აკადემიური მოსწრების მოსწავლეს სასწავლო მასალის დამოუკიდებლად ათვისებისა და დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევისათვის.

საგნობრივი კათედრის მუშაობის პრინციპები

სკოლაში არის შვიდი საგნობრივი კათედრა:

❖ ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრა, რომლის შემადგენლობაშიც შედიან ქართული ენა და ლიტერატურის/ქართული,როგორც მეორე ენის მასწავლებლები;

❖ მათემატიკისა კათედრა, რომლის შემადგენლობაშიც შედიან მათემატიკის და კომპიუტერული ტექნოლოგიების მასწავლებლები;

❖ საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრა, რომლის შემადგენლობაშიც შედიან ბუნებისმეტყველების, ბიოლოგიის, ქიმიისა და ფიზიკის მასწავლებლები;

❖ საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრა, რომლის შემადგენლობაშიც შედიან ჩვენი საქართველოს, მე და საზოგადოების, ისტორიის, საქართველოს ისტორიის, მოქალაქეობის, გეოგრაფიის, სამოქალაქო განათლების პროექტის,სახელმწიფო და სამართალის, მსოფლიო კულტურის მასწავლებლები;

❖ ენების კათედრა, რომლის შემადგენლობაშიც შედიან ინგლისური და რუსული ენის, IX-XX საუკუნეების დასავლური ლიტერატურის მასწავლებლები;

❖ ესთეტიკისა და სპორტის კათედრა, რომლის შემადგენლობაშიც შედიან სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების, მუსიკის/მუსიკის პროექტის და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების/ხელოვნების პროექტის, ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებლები;

❖ დაწყებითი კლასების (I-IV) კათედრა, რომლის შემადგენლობაშიც შედიან I-IV კლასის რუსული ენის, მათემატიკისა,ხელოვნების და ბუნებისმეტყველების მასწავლებლები.

კათედრების ფუნქციებია:

- საგნობრივი ჯგუფის საგნის/საგნების სწავლების კოორდინირების განხორციელება;
  - რეკომენდაციების შემუშავება სწავლა-სწავლების თანამედროვე მეთოდოლოგიებისა და მიდგომების დანერგვასთან დაკავშირებით;
  - კათედრის წევრთა შორის გამოცდილების გაზიარება, წარმატებების წინაპირობათა განსაზღვრა და პრობლემების გადაჭრის გზების ძიება;
  - საგაკვეთილო პროცესისთვის, მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და სასკოლო ბიბლიოთეკისთვის საგანმანათლებლო რესურსების შერჩევა;
  - სხვა საგნებთან კოორდინირებული მუშაობა (მაგ., ისტორიასა და ქართულ ენასა და ლიტერატურაში საერთო თემატიკის შეთანხმება, ექსკურსიებზე საერთო დავალებების მოფიქრება და სხვ.);
  - მასწავლებლის პროფესიული განვითარებისთვის ზრუნვა;

სკოლას შემუშავებული აქვს კათედრის დებულება, რომელიც განსაზღვრავს კათედრის მიზნებსა და ამოცანებს, ფუნქციებს, თავმჯდომარის არჩევის წესს,

კათედრის წევრების და თავმჯდომარის უფლებებისა და მოვალეობების შესახებ ინფორმაციებს და სხვა.

მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების სისტემა

შეფასების მიზანი

მოსწავლის შეფასების მთავარი მიზანია სწავლა-სწავლების ხარისხის მართვა, რაც გულისხმობს, ერთი მხრივ, სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე ზრუნვას და, მეორე მხრივ, სწავლა-სწავლების ხარისხის მონიტორინგს. შეფასება უნდა იძლეოდეს ინფორმაციას მოსწავლის ინდივიდუალური პროგრესის შესახებ. შეფასების პროცესში მოსწავლე განიხილება ცნობისმოყვარე, საკუთარი ინტერესების, ხასიათისა და გამოცდილებების მქონე ინდივიდად, რომელსაც უნდა ჰქონდეს მრავალფეროვანი არეალი მოქმედებისა და უკუკავშირისთვის.

მოსწავლის შეფასების ამოცანები

მოსწავლის შეფასების ძირითად ამოცანებს წარმოადგენს:

ა) აჩვენოს როგორ მიმდინარეობს მოსწავლის ცოდნის კონსტრუირების პროცესი და მეხსიერებაში ცოდნათა ურთიერთდაკავშირება;

ბ) ახალი სასწავლო საკითხის/თემის დაწყებამდე დაადგინოს მოსწავლის წინარე ცოდნა და წარმოდგენები;

გ) გამოავლინოს, რამდენად ახერხებს მოსწავლე საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეების დამოუკიდებლად შეფასებას, ასევე რამდენად გააზრებულ და ეფექტიან ნაბიჯებს დგამს იგი საკუთარი წინსვლის ხელშესაწყობად;

დ) მოიცვას სამივე კატეგორიის ცოდნა;

ე) აჩვენოს, რამდენად ახერხებს მოსწავლე ცოდნის ერთობლიობათა ფუნქციურად გამოყენებას შინაარსიან კონტექსტებში.

ძირითადი ამოცანების გადასაჭრელად მოსწავლის შეფასებაში პრიორიტეტი მიენიჭება კომპლექსურ, კონტექსტის მქონე დავალებებს, რომელთა შესრულება მოსწავლეს უბიძგებს ცოდნის სხვადასხვა კომპონენტის ინტერაქტიულად და თანადროულად გამოყენებისკენ.

სასწავლო პროცესში შუალედური სასწავლო მიზანი განისაზღვრება ისეთი **დავალების** სახით, რომელიც წარმოადგენს შემოქმედებით პროდუქტს და რომლის

საშუალებითაც მოსწავლე საგნობრივ საკითხთან/საკითხებთან მიმართებით საკუთარ ცოდნას წარმოაჩენს.

განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება

განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება

შეფასების მიზნიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლეთა შეფასება დაუკავშირდეს არა მხოლოდ სწავლების შედეგს, არამედ სწავლის პროცესსაც. ამის უზრუნველსაყოფად სკოლაში გამოიყენება ორი ტიპის შეფასება: განმსაზღვრელი და განმავითარებელი.

განმსაზღვრელი შეფასება ადგენს მოსწავლის აკადემიური მიღწევის დონეს საგნობრივი სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებაში. აფასებს ცოდნათა ურთიერთდაკავშირების, ცოდნის სამივე კატეგორიის გამოყენებისა და ცოდნის ერთობლიობათა ფუნქციურად გამოყენების უნარს;

განმავითარებელი შეფასება ადგენს თითოეული მოსწავლის განვითარების დინამიკას და მიმართულია სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე. მისი მიზანია ხელი შეუწყოს მოსწავლის წინსვლასა და განვითარებას. განმავითარებელი შეფასებით ფასდება ცოდნის კონსტრუირებისა და ცოდნათა ურთიერთდაკავშირების პროცესი, მოსწავლის მიერ თავისივე ძლიერი და სუსტი მხარეების დადგენის უნარი, ცოდნის სამივე კატეგორიის ათვისების პროცესი, ცოდნის ერთობლიობათა ფუნქციურად გამოყენების უნარი, ასევე დგინდება წინარე ცოდნა/წარმოდგენები.

მოსწავლეთა აკადემიური მიღწევები ფასდება ათქულიანი სისტემით ოთხი დონის მიხედვით:

ქულები	შეფასების დონეები	შეფასების დონეების აღწერა
10	მაღალი	მოსწავლე საგნობრივ საკითხზე/საკითხებზე მსჯელობს ბაზისურ ცნებებზე დაფუძნებით; საკითხის/საკითხების შინაარსებზე დაფუძნებით დამოუკიდებლად ჭრის სასწავლო ამოცანებს.
9		
8	საშუალოზე მაღალი	მოსწავლე საგნობრივ საკითხზე/საკითხებზე მსჯელობს ბაზისურ ცნებებზე დაფუძნებით, თუმცა, უჭირს საკითხის შინაარსის გამოყენება სასწავლო ამოცანების განსახორციელებლად.
7		
6	საშუალო	მოსწავლე მსჯელობს საგნობრივ საკითხზე/საკითხებზე, თუმცა, აქვს ხარვეზები სასწავლო ამოცანების განხორციელებისა და ბაზისური ცნებების გააზრების მიმართულებით.
5		
4 3 2 1	დაბალი	მოსწავლის მსჯელობა საგნობრივ საკითხთან დაკავშირებით ზედაპირული და არაარსობრივია.

I-IV კლასებსა და V კლასის პირველ სემესტრში გამოიყენება მხოლოდ განმავითარებელი შეფასება, ხოლო V კლასის მეორე სემესტრსა და VI-XII კლასებში განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასებები.
V კლასის მე-2 სემესტრსა და VI-XII კლასებში განმსაზღვრელი შეფასებით ფასდება საკლასო დავალება, საშინაო დავალება და შემაჯამებელი დავალება, გამოცდა.
კომპლექსური დავალება I-IV კლასებში და V კლასის 1-ლ სემესტრში ფასდება განმავითარებელი შეფასებით, ხოლო V კლასის მე-2 სემესტრსა და VI-XII კლასებში - როგორც განმავითარებელი, ისე განმსაზღვრელი შეფასებით.

განმსაზღვრელი შეფასება შეიძლება იყოს დიფერენცირებული და არადიფერენცირებული .

არადიფერენცირებული შეფასება (ჩათვლა) გამოიყენება სპორტის საგნობრივ ჯგუფში შემავალ საგნებში, არჩევით საგნებსა და ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული და გაუთვალისწინებელი დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურებით შეთავაზებულ საგნებში. საშუალო საფეხურზე პროექტებში – სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში, მუსიკაში, სამოქალაქო განათლებაში - მოსწავლე ფასდება განმავითარებელი შეფასებით (წერილობითი და /ან ზეპირი ფორმით).

განმსაზღვრელი შეფასების სახეობები

სკოლაში გამოიყენება განმსაზღვრელი შეფასების შემდეგი სახეობები:
ა) **საგნის სემესტრული ქულა** – საგანში მიღებული შეფასება თითოეულ სემესტრში; სემესტრული ქულა გამოითვლება მოსწავლის მიერ სემესტრის განმავლობაში მიღებული ქულების საშუალო არითმეტიკულის საფუძველზე; სემესტრული ქულა მრგვალდება მთელის სიზუსტით. სემესტრული ქულა შეიძლება ამაღლდეს გამოცდის საფუძველზე.

ბ) **საგნის წლიური ქულა** – სემესტრული ქულებიდან გამომდინარე შეფასება საგანში. წლიური ქულა გამოითვლება საგნის სემესტრის ქულების საშუალო არითმეტიკულის საფუძველზე; წლიური ქულა მრგვალდება მთელის სიზუსტით;

გ) **საგნის საფეხურის ქულა** - საფეხურის განმავლობაში თითოეულ კლასში მიღებული საგნის წლიური ქულის საშუალო არითმეტიკული;

დ) **საფეხურის ქულა** გამოითვლება საგნების საფეხურის ქულების საშუალო არითმეტიკულის საფუძველზე; საფეხურის ქულა მრგვალდება მეათედის სიზუსტით.

საგნის სემესტრული ნიშნის შემადგენელი ნაწილები (კომპონენტები)

სემესტრის მანძილზე მოსწავლეები ფასდებიან სამი კომპონენტის მიხედვით:



1. საშინაო დავალება;
2. საკლასო დავალება;
3. შემაჯამებელი დავალება;

სემესტრის განმავლობაში განმსაზღვრელი შეფასებით მოსწავლეები ფასდებიან შემდეგ კომპონენტებში:

ა) მიმდინარე საკლასო დავალება (V კლასის მეორე სემესტრი, VI-XII კლასები),
ბ) მიმდინარე საშინაო დავალება (VI-XII კლასები),
გ) შემაჯამებელი დავალება (V კლასის მეორე სემესტრი, VI-XII კლასები).

შემაჯამებელი დავალებების კომპონენტი

შემაჯამებელი დავალების კომპონენტი უკავშირდება სწავლა-სწავლების შედეგს. ამ კომპონენტში ფასდება ერთი სასწავლო მონაკვეთის (თემა, თავი, პარაგრაფი, საკითხი) შესწავლა-დამუშავების შედეგად მიღწეული შედეგები. კონკრეტული სასწავლო ერთეულის დასრულებისას მოსწავლემ უნდა წარმოაჩინოს სტანდარტით განსაზღვრული ცოდნა და უნარები.

სასწავლო პროცესში შემაჯამებელი დავალების შუალედური სასწავლო მიზანი განისაზღვრება ისეთი **დავალების** სახით, რომელიც წარმოადგენს შემოქმედებით პროდუქტს და რომლის საშუალებითაც მოსწავლე საგნობრივ საკითხთან/საკითხებთან მიმართებით საკუთარ ცოდნას წარმოაჩენს. (მაგ., ესეს დაწერა, პროექტის მომზადება, ლაბორატორიული კვლევის ჩატარება, რეფერატის დაწერა, ამოცანის ამოხსნა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშის შექმნა, მოთხრობის შედგენა, მონაცემთა ბაზის შექმნა, კონკრეტული პრობლემის გადაჭრა, საველე-გასვლითი სამუშაოს ან სასწავლო ექსკურსიის ანგარიშის მომზადებადა სხვ.). ამგვარ დავალებაში შესრულებული სამუშაოს მრავალმხრივი შეფასებისათვის მასწავლებელმა უნდა შეიმუშავოს მოსწავლეების შეფასების კრიტერიუმები.

შემაჯამებელი დავალებების აღდგენის წესი

შემაჯამებელი დავალებების აღდგენის წესი: მოსწავლე ვალდებულია შეასრულოს კლასში ჩატარებული ყველა შემაჯამებელი დავალება, გაცდენის შემთხვევაში მოსწავლეს ენიშნება აღდგენითი შემაჯამებელი დავალება, რომელიც შეიძლება შესრულდეს ინდივიდუალური ან ჯგუფური გრაფიკის მიხედვით, გაკვეთილების შემდეგ.

შემაჯამებელი დავალების აღდგენა მოხდება სემესტრის დასრულებამდე ან მობილობის შემთხვევაში, სკოლის მიერ ამორიცხვის შესახებ ბრძანების გამოცემამდე.

საშინაო, საკლასო და შემაჯამებელი დავალებაში 10 ქულაზე მეტი შეფასების რუბრიკის გამოყენების შემთხვევაში, მიღებული ქულის 10 ქულიან სისტემაზე გადაყვანა ხდება შემდეგი პრინციპით: მიღებული ქულა უნდა გამრავლდეს 10-ზე და გაიყოს მაქსიმალურ ქულაზე (მაგ. თუ შეფასების რუბრიკა არის 40 ქულიანი და მოსწავლემ მიიღო 27 ქულა, ქულის კონვერტაცია ხდება შემდეგი სახით: (27*10:40=6,75).

კლასის დაძლევა

1. კლასი დაძლეულად ჩაითვლება, თუ თითოეული საგნის წლიური ქულა არის 5.0 ან მეტი და არადიფერენცირებული შეფასების შემთხვევაში მოსწავლეს მიღებული აქვს "ჩათვლა". დაძლეული კლასის განმეორებით გავლა დაუშვებელია.
2. მოსწავლის მობილობის შემთხვევაში თუ გამშვებ სკოლაში არ ისწავლებოდა ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საგანი, სკოლა უზრუნველყოფს აღნიშნულ საგანში ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენას, რომლის საფუძველზეც მოხდება სემესტრული/წლიური ქულის გამოყვანა.

შეფასება და გაცდენები

1. მოსწავლეთა გაცდენები აღირიცხება ელექტრონულ ჟურნალში. გაკვეთილებზე მოსწავლეთა დასწრების ყოველდღიური აღრიცხვის წარმოებაზე პასუხისმგებელია საგნის მასწავლებელი.
2. თუ საბაზო-საშუალო საფეხურებზე მოსწავლემ სასწავლო წლის განმავლობაში გააცდინა კონკრეტული საგნისთვის წლის მანძილზე დათმობილი საათების 30% და მეტი, მოსწავლე ფასდება მხოლოდ ექსტერნატის გამოცდის ჩაბარების საფუძველზე.

გამოცდის ტიპები

ეროვნული სასწავლო გეგმის თანახმად, 2025-2026 სასწავლო წელს სკოლაში შესაძლებელია ჩატარდეს შემდეგი ტიპის გამოცდები:

- **საშემოდგომო გამოცდა;**
- **ექსტერნატის გამოცდა;**
- **სემესტრული ქულის ამაღლების გამოცდა**

სემესტრული გამოცდა

1. სემესტრული გამოცდა ინიშნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლე თვლის, რომ მას უფრო მაღალი შეფასება ეკუთვნის.
2. სემესტრული გამოცდის დანიშვნისთვის მოსწავლის მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი სკოლის დირექტორს მიმართავს პირველი სემესტრის შეფასების შემთხვევაში - მეორე სემესტრის დაწყებიდან ერთი კვირის ვადაში, ხოლო მეორე სემესტრის შემთხვევაში - სემესტრის დასრულებიდან ერთი კვირის ვადაში. დირექტორი განიხილავს საკითხს და იღებს გადაწყვეტილებას მოსწავლის სემესტრულ გამოცდაზე დაშვება-არდაშვების შესახებ. დაშვებაზე უარის შემთხვევაში, გადაწყვეტილება იქნება დასაბუთებული.

3. მოსწავლის გამოცდაზე დაშვების შემთხვევაში, სკოლამ უნდა მიიღოს შესაბამისი ზომები გამოცდის ობიექტურად და მიუკერძოებლად ჩატარების უზრუნველყოფის მიზნით.
4. მოსწავლის გამოცდაზე დაშვების შემთხვევაში, გამოცდაზე გასული მოსწავლის საგნის სემესტრული ნიშანი გამოითვლება შემდეგი წესით: **სემესტრული გამოცდის ქულა ემატება საგნის სემესტრულ ქულას და ჯამი იყოფა ორზე.**
5. პირველი სემესტრის სემესტრული გამოცდა ინიშნება მეორე სემესტრის დაწყებიდან 2 კვირის ვადაში, ხოლო მეორე სემესტრის სემესტრული გამოცდა - სემესტრის დასრულებიდან არაუგვიანეს 2 კვირის ვადაში.

საშემოდგომო გამოცდა და რემედიაციის პროგრამა

1. იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლის საგნის წლიური ქულა იქნება 5-ზე ნაკლები, სკოლა დაუნიშნავს საშემოდგომო გამოცდას ამ საგანში;
2. საშემოდგომო გამოცდამდე სკოლა ქმნის რემედიაციის პროგრამას საშემოდგომო გამოცდის ჩატარებამდე. რემედიაციის პროგრამა სპეციალურად შეიქმნება კონკრეტული მოსწავლისთვის სასწავლო პროცესში გამოკვეთილი შეფერხებების აღმოფხვრის მიზნით.

3. მოსწავლე საგნის/საგნების წლიურ შეფასებას მიიღებს საშემოდგომო გამოცდის საფუძველზე (საშემოდგომო გამოცდის ქულა ხდება საგნის წლიური ქულა);
4. სკოლა საშემოდგომო გამოცდებს ჩაატარებს წერილობით ტესტირების ფორმით, 2026 წლის 01 სექტემბრიდან 07 სექტემბრამდე. გამონაკლისის სახით, ობიექტური მიზეზის შემთხვევაში (ჯანმრთელობის მდგომარეობა,საზღვრგარეთ წასვლა და სხვა ოჯახური პირობები), საშემოდგომო გამოცდები შესაძლებელია ჩატარდეს 2025 წლის 22 ივნისიდან 1 ივლისის ჩათვლით.

ექსტერნატის ფორმით გამოცდა

1. ექსტერნატის ფორმით ზოგადი განათლების მიღების წესი და პირობები განისაზღვრება კანონმდებლობით;
2. ექსტერნატის გამოცდას აბარებენ ის პირები, რომლებიც ზოგადი განათლების ცალკეული კლასის/კლასების პროგრამებს ძირითადად დამოუკიდებლად ძლევენ და ექსტერნატის გამოცდას აბარებენ შესაბამისი განათლების დასადასტურებლად, რაც მათ შემდეგ კლასში/საფეხურზე სწავლის გაგრძელების საშუალებას მისცემს („წინმსწრები“) და აგრეთვე, ის მოსწავლეები, რომელთაც საბაზო/საშუალო

საფეხურზე სასწავლო წლის მანძილზე კონკრეტული საგნისათვის გათვალისწინებული საათების 30% და მეტი აქვთ გაცდენილი.

წლიური გამოცდა

1. 2025-2026 სასწავლო წელს წლიური გამოცდა ჩატარდება შემდეგ კლასებსა და საგნებში:

N	საგანი	კლასი
1.	მათემატიკა, ინგლისური ენა	VII
2.	ისტორია, ეთნიკური უმცირესობების ენა(რუსული)	VIII
3.	ქიმია, გეოგრაფია	IX
4.	ბიოლოგია , ინგლისური ენა	X
5.	ქართული ენა არაქართულენოვანი სკოლებისთვბის, მათემატიკა	XI

2. წლიური გამოცდის ქულას გავლენა აქვს საგნის წლიურ ქულაზე, საგნის წლიური ქულის გამოთვლისას. წლიურ გამოცდას არ ჩააბარებენ სსსმ მოსწავლეები, რომლებიც ინდივიდუალური სასწავლო გეგმით სწავლობენ.

დიაგნოსტიკური წერები

დიაგნოსტიკური წერები აფასებს წინარე ცოდნასა და უნარ-ჩვევებს. ისინი ორი ფორმით გამოიყენება: პასუხების ანალიზი და კოგნიტიური დიაგნოსტიკური შეფასება. პასუხების ანალიზი იძლევა ინფორმაციას მოსწავლეთა გაწაფულობისა და მათ მიერ ცნებებისა და პროცედურების გაგების შესახებ. იგი შესაძლებლობას აძლევს მასწავლებელს, შეცვალოს სწავლება ისე, რომ “მოარგოს” მოსწავლეთა საჭიროებებს, შეასწოროს მათი შეცდომები. უნარ-ჩვევების ანალიზი მასწავლებელს ატყობინებს იმ სიძნელეების შესახებ, რაც ელით მოსწავლეებს მასალის გამეორებისას, ხოლო შეცდომების ანალიზი მას ეხმარება ხელახლა სწავლების დაგეგმვაში. მოსწავლეები იღებენ კონსტრუქციულ მითითებებს იმის თაობაზე, თუ როგორ გააუმჯობესონ შედეგები. მათ სჭირდებათ შემდგომი ნაბიჯების, საკუთარი ძლიერი მხარეების ცოდნა და ინფორმაცია მათი განვითარების გზების შესახებ, აგრეთვე საკუთარი სისუსტეების ცხადი სურათი და რჩევა, თუ როგორ შეიძლება მათი დაძლევა.

შეფასებამ უნდა გაზარდოს მოსწავლის თვითშეფასების შესაძლებლობები ისე, რომ იგი გახდეს მოაზროვნე და თვითწარმმართველი პიროვნება. დამოუკიდებელ მოსწავლეს შეუძლია, თავად მოიპოვოს ცოდნა და განივითაროს უნარ-ჩვევები.
შეფასებისას წარმოჩნდება ყოველი მოსწავლის ყველა მიღწევა – მოსწავლეებს ეძლევათ საშუალება, საუკეთესო მხრიდან წარმოაჩინონ საკუთარი თავი, აჩვენონ საკუთარი "მაქსიმუმი" და მიიღონ კუთვნილი აღიარება.

2025–2026 სასწავლო წელს I-IV კლასებში პირველი და მეორე სემესტრის დასრულებამდე ორი კვირის განმავლობაში დაგეგმილია დიაგნოსტიკური წერების ჩატარება შემდეგ საგნებში, როგორიცაა:

- I კლასში-მათემატიკა და ბუნებისმეტყველება
- II კლასში- მათემატიკა, ქართული ენა არაქართულენოვანი სკოლებისთვის, ინგლიური ენა
- III კლასში- ბუნებისმეტყველება, მათემატიკა, ქართული ენა არაქართულენოვანი სკოლებისთვის
- IV კლასში-ქართული ენა არაქართულენოვანი სკოლებისთვის, ინგლისური ენა, მე და საზოგადოება

დიაგნოსტიკური წერის დასრულების შემდეგ თუ აღმოჩნდა, რომ მოსწავლეს ესაჭიროება დამატებითი მუშაობა, სკოლის ორგანიზებით, საჭიროების მიხედვით ჩაუტარდება დამატებითი მეცადინეობა.

დიაგნოსტიკური წერის მიზანია ცოდნის დონის დიაგნოსტირება, პრობლემის აღმოჩენა და გასაუმჯობესებელი გზების ძიება. დიაგნოსტიკური წერის შედეგები ნიშანზე გავლენას არ ახდენს.

შეფასებასთან დაკავშირებული ინფორმაციის შენახვის ვადა

სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

შეფასების სტრატეგიები

ქვემოთ წარმოდგენილი შეფასების სტრატეგია წარმოადგენს ერთიან პაკეტს, რაც ერთიანობაში საშუალებას იძლევა მოსწავლის ცოდნისა და უნარ-ჩვევებზე დაკვირვების შესაძლებლობას.

შემაჯამებელი/შემოქმედებითი ტიპის დავალება – განისაზღვრება თემების მიხედვით და წარმოადგენს შინაარსიან, ცხოვრებისეულ სიტუაციებთან დაკავშირებულ დავალებას, რომლის შესრულება მოითხოვს ფუნქციურ კონტექსტებში სხვადასხვა ცოდნათა ინტეგრირებულად გამოყენებას;

დაკვირვება - ხდება ხშირად და რეგულარულად. მასწავლებელი აკვირდება ჯგუფს ან ცალკეულ მოსწავლეს.

პორტფოლიო - მოსწავლეთა ნამუშევრების და სასწავლო დამატებითი მასალების კოლექცია, რომლის მიზანია მოახდინოს წარმატების ზრდის, თვითშეფასების, შემოქმედებითობის ასახვის დემონსტრირება.

განსაზღვრული პასუხები - ერთჯერადი, ერთგანზომილებიანი სავარჯიშოები, ტესტები, რომლებიც ასახავს დაგროვილი ცოდნის რაოდენობასა და პრაქტიკაში გამოყენების შესაძლებლობებს.

პროცესზე ფოკუსირება - მოსწავლეთა ტრანსდისციპლინარულ უნარებზე დაკვირვება, მათი შეფასება.

რუბრიკები - სტანდარტზე დაფუძნებული კრიტერიუმთა ჩამონათვალი, რომლის მიხედვითაც ხდება მოსწავლეთა ტესტების, პორტფოლიოების და სხვა ნამუშევრების შეფასება.

ტესტები - ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტის საფუძველზე შექმნილი დავალებები, რომლის საშუალებითაც ხდება მოსწავლეთა ცოდნის შემოწმება.

თვითშეფასება - ჩანაწერი დაფუძნებული საკუთარი მუშაობის დაკვირვებაზე. ამ ჩანაწერებს სჭირდება სისტემური შევსება და ორგანიზება.

ურთიერთშეფასება - გაკვეთილის ორგანიზაციული ნაწილის სრულყოფისთვის მოსწავლეთა მიერ ერთმანეთის ნამუშევრების: საშინაო დავალებების, ზეპირი პასუხების, ასევე ცალკეული, ეპიზოდური ხასიათის დავალებების შეფასება, შესაბამისი ჩანაწერების გაკეთება. **შეფასების ცხრილები/სქემები** - უნარ-ჩვევების ჩამონათვალი, მონაცემები, განსაზღვრებები ან ელემენტები, რომელთა წარმოჩენასაც ელის მასწავლებელი მოსწავლეთა მხრიდან. შეფასების ამ საშუალებებით შეგვიძლია შევაფასოთ როგორც მთლიანად პროცესი, ასევე მისი რომელიმე ეტაპი. ასევე ვიყენებთ კომპონენტებს თავისი წინასწარ დადგენილი კრიტერიუმებით, რომელიც დასაწყისშივე ცნობილია მოსწავლისათვის. ასეთი შეფასების კომპონენტად შეგვიძლია განვიხილოთ:

პრეზენტაცია - ამ დროს ჩანს და ფასდება მოსწავლის სოციალური (ლიდერის როლის აღება), საკომუნიკაციო (მეტყველება, არავერბალური კომუნიკაცია), კვლევის (მონაცემთა ინტერპრეტაცია), საკუთარი თავის მართვის (დროის მენეჯმენტი, ორგანიზაცია...) უნარები.

პროექტი - ამ დროს ჩანს და ფასდება სააზროვნო უნარ-ჩვევები (ცოდნის დაუფლება, აღქმა, გამოყენება, ანალიზი).

სასწავლო პროცესის დაწყებამდე შეფასების კომპონენტების რუბრიკებს ადგენს საგნობრივი კათედრა, რაც ფორმდება შესაბამისი ოქმით. შეფასების ზოგადი და დაკონკრეტებული რუბრიკები ინახება მასწავლებლის ელექტრონულ პორტფოლიოებში.

შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი

ვერიფიკაციის მიზნები და ამოცანები

1. შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმის დანერგვის მიზანია, სკოლამ დაადასტუროს, რომ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში შეფასების პროცესი არის სანდო, ვალიდური, ობიექტური, გამჭვირვალე და სამართლიანი, ხოლო შეფასების შედეგებზე მიღებული გადაწყვეტილებები - ზუსტი.

2. ვერიფიკაციის ამოცანებია:

ა) მოსწავლის შეფასების პროცედურებისა და ინსტრუმენტების შესაბამისობის დადგენა სასკოლო კურიკულუმთან;

ბ) მოსწავლის მიღწევების ანალიზი;

გ) ანალიზით მიღებული შედეგების გამოყენება მოსწავლეთა შედეგების გასაუმჯობესებლად;

3. მოსწავლის შეფასების ვერიფიკაცია ხორციელდება შემდეგი მიმართულებებით:

- გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტის (მაგ. მოსწავლისათვის მიცემული ესე, პროექტი, პრეზენტაცია, ტესტი, ლაბორატორიული კვლევა, რეფერატი, ამოცანის ამოხსნა და ა.შ) ვერიფიკაცია;
- მოსწავლისათვის მიცემული დავალების შეფასების პროცესის (ფაქტობრივი გარემოებები, მიცემული დრო, გარემო, წინასწარ ინფორმირება და ა.შ) ვერიფიკაცია;
- მტკიცებულებების (მოსწავლის მიერ შესრულებული ტესტის, დავალების, პროექტის, ნაშრომის და ა.შ) ვერიფიკაცია.

4. შეფასების სისტემის ვერიფიკაციისთვის სკოლამ შესაძლებელია გამოიყენოს სხვადასხვა მექანიზმები. მათ შორის, მოსწავლეთა შეფასებისა და სასკოლო სასწავლო გეგმით გათვალისწინებული წლიური გამოცდების/დიაგნოსტიკური წერების ჩატარება ან სემესტრული გამოცდის ჩატარება, როდესაც მოსწავლეს შეუძლია მოითხოვოს სემესტრული ნიშნის ამაღლება თუ მიღებული ქულა არ აკმაყოფილებს.

ვერიფიკაციის პრინციპები

1. მოსწავლის შეფასება ეფუძნება შემდეგ პრინციპებს:

ა) ვალიდურობას;

ბ) სანდოობას;

გ) გამჭვირვალეობას;

დ) სამართლიანობასა და ობიექტურობას.

2. შეფასების სისტემა **ვალიდურია,** თუ გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტი რელევანტურია იმ სწავლის შედეგის დადასტურებისათვის, რაც ფასდება. ასევე, შეფასების გამოყენებული ინსტრუმენტი იძლევა სწავლის შედეგის შეფასების შესაძლებლობას ყველა კრიტერიუმის მიხედვით.
3. შეფასების სისტემა **სანდოა,** თუ განხორციელებული შეფასების შედეგები გამყარებულია სათანადო მტკიცებულებებით.
4. შეფასების სისტემა **გამჭვირვალეა,** თუ შეფასების პროცესი და დადასტურების პირობები, მოთხოვნები, ასევე შეფასების შესახებ სხვა საჭირო ინფორმაციაწინასწარ არის ცნობილი ყველა მოსწავლისათვის
5. შეფასების სისტემა **სამართლიანია,** თუ შეფასების პროცესი ორგანიზებულია იმგვარად, რომ ის საშუალებას აძლევს მოსწავლეს დაადასტუროს მიღწეული სწავლის შედეგები (მათ შორის,- შეფასების დრო, შეფასების გარემო, გამოყენებული მასალები, აღჭურვილობა და სხვა პირობები). ასევე, თუ შეფასებისას ყველა ერთნაირ პირობებში იქნა ჩაყენებული.
6. შეფასების სისტემა **ობიექტურია,** თუ ყველა მოსწავლე ერთნაირი შესრულების პირობებში ერთნაირად არის შეფასებული.

ვერიფიკაციის პროცესი

1. შეფასების ვერიფიკაცია შესაძლებელია განხორციელდეს დაინტერესებული პირის განცხადების საფუძველზე (მაგ. ნიშნის ასამაღლებელი სემესტრული გამოცდის შემთხვევაში), სკოლის დირექციის ინიციატივით (მაგ.გამოცდა, დიაგნოსტიკური წერების ჩატარება და მათი ანალიზი მიმდინარე შეფასებებთან) ან გეგმიურად (საგნობრივი კათედრის მიერ).
2. შეფასების სისტემის ვერიფიკაციის დროს სკოლაში შესაძლებელია განხორციელდეს:
ა) შეფასების ინსტრუმენტის შინაარსობრივი შეფასება ვალიდურობის თვალსაზრისით;
ბ) მტკიცებულებათა ფიზიკურად არსებობის შემოწმება;
გ) მტკიცებულებათა საკმარისობის შეფასება;
დ) მტკიცებულებათა ვალიდურობის შეფასება;
ე) შესაფასებელი პირის წინასწარი ინფორმირების მექანიზმის შემოწმება;
ვ) შეფასების დროის საკმარისობის შეფასება;
ზ) შეფასების გარემოს შესაბამისობის შეფასება;
თ) შეფასების პროცესის ფაქტობრივი გარემოებების შემოწმება;
ი) მტკიცებულებათა შეფასება ობიექტურობის თვალსაზრისით;.

3. შეფასების სისტემის ვერიფიკაციის დროს, წინამდებარე პუნქტში მითითებული ღონისძიებების განხორციელების შემდგომ ხდება ვერიფიკაციის საბოლოო გადაწყვეტილების მიღება.

შეფასების სისტემის ვერიფიკაციის განმახორციელებელი პირები

შეფასების სისტემის ვერიფიკაცია შესაძლებელია განახორციელოს:

- დირექტორის მოადგილემ;
- შესაბამისმა საგნობრივმა კათედრამ (ურთიერთდასწრების, შეფასების რუბრიკების შემუშავების, მოსწავლეთა შეფასებების ანალიზის დროს);
- დირექტორის მიერ შექმნილმა კომისიამ (მაგ. ნიშნის ასამაღლებელი სემესტრული გამოცდების ჩატარების მიზნით შექმნილმა კომისიამ);
- ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფმა მასწავლებლის საქმიანობის დაკვირვების დროს (საგაკვეთილო პროცესზე დასწრება/კომპეტენციების შემოწმება).

საათობრივი ბადე

მოსწავლეთა საჭიროებებისა და ინტერესების, ასევე სკოლის ადამიანური და ფინანსური რესურსის გათვალისწინებით, სასკოლო სასწავლო გეგმას დანართი N2 სახით თან ერთვის დასწრებითი სწავლების სასკოლო საათობრივი ბადე, რომელიც განსაზღვრავს მოსწავლეთა კვირეული დატვირთვის ოდენობას კლასების, სემესტრების და საგნების მიხედვით.

განაყოფები

კლასის გაყოფა დასაშვებია შემდეგ საგნებში: ქართულ ენაში (არაქართულენოვანი სკოლებისთვის/სექტორებისთვის) შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ კლასში მოსწავლეთა რაოდენობა აღემატება 25-ს, ხოლო უცხოურ ენებში – 20-ს.

საგანმანათლებლო რესურსის ჩამონათვალი

სკოლა უზრუნველყოფს სკოლაში არსებული საგანმანათლებლო რესურსების (ბიბლიოთეკა, კომპიუტერული ლაბორატორია და სხვ.) ხელმისაწვდომობას მოსწავლეებისა და მასწავლებლებისათვის.

საგანმანათლებლო რესურსების ტიპებია:

ა) გრიფმინიჭებული სასკოლო სახელმძღვანელო/სერია;

ბ) დამატებითი საგანმანათლებლო (მათ შორის, ელექტრონული) რესურსები;

გ) სხვადასხვა სახის თვალსაჩინოება (რუკები, პლაკატები, მოდელები და სხვ.).

სასკოლო სასწავლო გეგმას დანართი N3 სახით თან ერთვის ძირითადი საგანმანათლებლო რესურსების (გრიფმინიჭებული სასკოლო სახელმძღვანელოების) ჩამონათვალი კლასების მიხედვით და დამატებითი საგანმანათლებლო რესურსების

ჩამონათვალი საგნობრივი ჯგუფების მიხედვით.

სსსმ მოსწავლის ყოლის შემთხვევაში სწავლება განხორციელდება ნებისმიერი კლასის/დონის გრიფირებული ან ადაპტირებული გრიფირებული სახელმძღვანელოთი, მიუხედავად იმისა, თუ რომელ კლასშია ეს მოსწავლე.

შინ სწავლება

სკოლა შინ სწავლების რეჟიმზე გადაიყვანს იმ მოსწავლეებს, რომლებიც საჭიროებენ მკურნალობას ერთი თვის ან მეტი ვადით და მშობლის მიმართვის შედეგად აღნიშნული გარემოებები ცნობილი ხდება სკოლისათვის.

სკოლის მიერ შედგენილი განრიგის შესაბამისად, სკოლის მიერ განსაზღვრული მასწავლებელი დისტანციურად უტარებს გაკვეთილს; (შესაძლებელია განსაზღვრული მასწავლებელი არ ასწავლიდეს შინ სწავლებაზე გადაყვანილ მოსწავლეს).

მოსწავლის შინ სწავლების შემთხვევაში, სკოლა უზრუნველყოფს შინ სწავლებაზე მყოფი მოსწავლისთვის შესაბამისი კლასის საათობრივი ბადით განსაზღვრული თითოეული საგნისთვის (გარდა სპორტის საგნობრივი ჯგუფით გათვალისწინებული საგნებისა) კვირაში მინიმუმ ერთი გაკვეთილის ჩატარებას.

მოსწავლის შინ სწავლების შემთხვევაში, სპორტის საგნობრივ ჯგუფში შემავალი საგნების შეფასებისას მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს მოსწავლის ფიზიკური მდგომარეობა.

ინკლუზიური განათლება

ინკლუზიური განათლება

ინკლუზიური განათლება გულისხმობს თანაბრად ხელმისაწვდომ საგანმანათლებლო პროცესს, რომლის ფარგლებშიც ყველა მოსწავლისთვის უზრუნველყოფილია განათლების ინდივიდუალური საგანმანათლებლო საჭიროებისა და შესაძლებლობის გათვალისწინებით მიღება.

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე

1. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე (შემდგომში - სსსმ) არის მოსწავლე, რომელიც არის „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი, აგრეთვე მოსწავლე, რომელიც სასწავლო პროცესში დამატებით მხარდაჭერას საჭიროებს, აქვს სწავლასთან ან/და სასწავლო გარემოს

ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი, გახანგრძლივებული სირთულეები ან/და ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ მოთხოვნებს მინიმალურ დონეზე ვერ აკმაყოფილებს;

2. სსსმ მოსწავლე შეიძლება იყოს მოსწავლე, რომელსაც აქვს:

ა) ფიზიკური შეზღუდვა;

ბ) ინტელექტუალური განვითარების დარღვევა;

გ) სწავლის უნარის დარღვევა;

დ) სენსორული განვითარების დარღვევა (სმენის და/ან მხედველობის);

ე) ენა-მეტყველების განვითარების დარღვევა და კომუნიკაციის სირთულეები;

ვ) ქცევითი და ემოციური დარღვევა;

ზ) გრძელვადიანი ჰოსპიტალიზაციის საჭიროება;

თ) სოციალური ფაქტორებით გამოწვეული სირთულეები სწავლაში, რის გამოც ვერ ძლევს ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს.

ი) ენობრივი ბარიერის გამო გამოწვეული სირთულეები სწავლაში.

3. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების დადასტურება ხდება ინკლუზიური განათლების მულტიდისციპლინური გუნდის (შემდგომ – მულტიდისციპლინური გუნდი) შეფასებისა და დასკვნის საფუძველზე. ასევე, მულტიდისციპლინური გუნდის მიერ განისაზღვრება სსსმ მოსწავლისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმით სწავლების, შეფასების ალტერნატიული მეთოდების გამოყენების, დამატებითი სპეციალისტის მომსახურების, სასწავლო პროცესისა და გარემოს მისაწვდომობის უზრუნველყოფის საჭიროება.

4. ენობრივი ბარიერის გამო გამოწვეული სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების შემთხვევაში, სკოლა მოსწავლისათვის გეგმავს და ახორციელებს ქართული ენის შესწავლის ხელშემწყობ აქტივობებს.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმა

1. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა არის მოსწავლის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების გათვალისწინებით ეროვნული სასწავლო გეგმის ადაპტაციით შექმნილი სასწავლო გეგმა, რომელიც სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილია.

2. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა მაქსიმალურად უნდა ითვალისწინებდეს სსსმ მოსწავლის ყველა საგანმანათლებლო საჭიროებას და მისი მიღწევის გზებს, მოსწავლის ინტერესებსა და ინდივიდუალურ შესაძლებლობებს, რომლებიც აუცილებელია ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მიზნების მისაღწევად.

5. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა შეიძლება მოიცავდეს ყველა საგანს ან რომელიმე კონკრეტულ საგანს/საგნებს სსსმ მოსწავლის საჭიროების შესაბამისად.

6. ყოველი სსსმ მოსწავლისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფარგლებში დეტალურად უნდა განისაზღვროს:

ა) სასწავლო შედეგები, სწავლების სტრატეგიები და სასწავლო აქტივობები შერჩეულ საგანში/საგნებში;
ბ) დრო, რომელსაც მასწავლებელი დაუთმობს ინდივიდუალური სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო შედეგების მიღწევას თითოეულ საგანში;
გ) მოსწავლისათვის საჭირო დამატებითი ჯგუფური/ინდივიდუალური მეცადინეობები, მეცადინეობების გრაფიკი, ადგილი და ხანგრძლივობა;
დ) დამატებით ჯგუფურ/ინდივიდუალურ მეცადინეობებზე პასუხისმგებელი პირი;
ე) სასწავლო პროცესში გამოსაყენებელი რესურსი (სახელმძღვანელოები და მოსწავლისათვის საჭირო სხვა საგანმანათლებლო/განმავითარებელი რესურსი) და რესურსით უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი, მათ შორის, მშობელიც;
ვ) მოსწავლისათვის საჭირო დამატებითი ტექნიკური რესურსები.
7.ინდივიდუალური სასწავლო გეგმა უნდა მოიცავდეს ინფორმაციას ბავშვის კოგნიტური, აკადემიური, საგნობრივი კომპეტენციების, ინტერესების, სოციალური, ქცევითი, ემოციური, მოტორული და სხვა სფეროების შესახებ, ძლიერი მხარეებისა და საჭიროებების გათვალისწინებით.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელი ისგ ჯგუფი

1.სკოლის ადმინისტრაციის ბრძანებით თითოეული სსსმ მოსწავლისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესამუშავებლად განისაზღვრება ისგ ჯგუფი, რომელიც უზრუნველყოფს სსსმ მოსწავლისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებას და ხელს შეუწყობს მის განხორციელებას. ისგ-ის ჯგუფი ვალდებულია მონაწილეობა მიიღოს ისგ-ს შიდა მონიტორინგში და მასალა წარუდგინოს სკოლის დირექტორს.
2. სკოლის ისგ ჯგუფი შედგება შემდეგი წევრებისაგან:
ა) სსსმ მოსწავლის კლასის დამრიგებელი;
ბ) საგნის მასწავლებლები, რომლებიც უშუალოდ ასწავლიან მოსწავლეს;
გ) სკოლაში ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტი/სპეციალისტები;
დ) სსსმ მოსწავლის მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი;
ე) საჭიროების შემთხვევაში მოწვეული სხვა სპეციალისტი.
3.ისგ ჯგუფს უნდა ჰყავდეს კოორდინატორი, რომელიც წარმართავს ჯგუფის წევრების მუშაობას და პასუხისმგებელია ჯგუფის საქმიანობაზე. ჯგუფს ხელმძღვანელობას უწევს დამრიგებელი.
4.ისგ ჯგუფი იკრიბება, სასწავლო წლის განმავლობაში მინიმუმ 4-ჯერ; ისგ ჯგუფის წევრები შეხვედრაზე განიხილავენ სსსმ მოსწავლის მიმდინარე საგანმანათლებლო პროცესს, მის სასწავლო შედეგებს, გამოწვევებს, გამოყენებული სწავლების სტრატეგიების ეფექტურობას, ინდივიდუალური სასწავლო გეგმაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის საჭიროებას, სწავლებაში ახალი მიდგომებისა და მეთოდების დანერგვის საჭიროებას და აუცილებელ რესურსებს.

5.ისგ ჯგუფის შეხვედრებზე სპეციალური მასწავლებელი/კლასის დამრიგებელი აწარმოებს სხდომის ოქმებს. ყველა სხდომის ოქმი ინახება მოსწავლის პირად საქმეში.
6.სასწავლო წლის დასასრულს, ისგ ჯგუფის წევრი თითოეული მასწავლებელი აფასებს შესაბამის საგანში სსსმ მოსწავლის მიღწევების (ცოდნა, უნარ-ჩვევები) შესაბამისობას ინდივიდუალური სასწავლო გეგმით განსაზღვრულ სასწავლო შედეგებთან დაკავშირებულ ინფორმაციას და ანგარიშს წარუდგენს დირექტორს, პედაგოგიურ საბჭოს და მშობელს.

სსსმ მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასება, დასწრება და გაცდენები

1. სსსმ მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასება ხდება იმავე პრინციპით, როგორც ფასდება ნებისმიერი სხვა მოსწავლის აკადემიური მიღწევა. თუ სსსმ მოსწავლე განათლებას იღებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმით, ფასდება მის მიერ ინდივიდუალური სასწავლო გეგმით განსაზღვრული მიზნების მიღწევის დონე. სსსმ მოსწავლე, რომელიც წარმატებით ძლევს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას, ფასდება მაღალი ქულით.
2. სსსმ მოსწავლისთვის სემესტრული, წლიური და საფეხურის ქულები გამოითვლება იმავე პრინციპით, როგორც სხვა მოსწავლეებისთვის.
3. მულტიდისციპლინური გუნდის წინასწარი დასკვნის საფუძველზე, გამონაკლისის სახით, შესაძლებელია:
ა) სსსმ მოსწავლე გადავიდეს მომდევნო კლასში იმ შემთხვევაში, თუ ის, დასკვნის საფუძველზე, არ ესწრება ერთ ან რამდენიმე საგანს და არ აქვს შეფასება შესაბამის საგანში/საგნებში.
ბ) სსსმ მოსწავლის წლიური ქულა გამოანგარიშდეს საგნის/საგნების ერთი სემესტრის შეფასების საფუძველზე.

იმისათვის, რომ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლემ (სსსმ) სკოლაში თავი უსაფრთხოდ და დაცულად იგრძნოს:

- სკოლის კიბეებზე გაკეთებულია პანდუსი, რომლის საშუალებითაც მათი ყოლის შემთხვევაში იოლად შეძლებენ გადაადგილებას და ურთიერთობას თანატოლებთან.
- სსსმ მოსწავლის საჭიროების შესაბამისად, იქმნება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა;
- მასწავლებელს, მულტიდისციპლინურ გუნდთან შეთანხმებით, საჭიროებისამებრ, შეეძლება სსსმ მოსწავლეს შეუცვალოს გაკვეთილები ან შეუმციროს რაოდენობა.
- მასწავლებელს შეეძლება საჭიროებისამებრ, შეიმუშაოს ალტერნატიული აქტივობები;

- ცოდნის ხარისხის გაზრდის მიზნით, ჩაუტაროს დამატებითი მეცადინეობა, შეაფასოს ინდივიდუალური მიღწევების მიხედვით;
- სკოლა წაახალისებს მოსწავლეს, ზოგჯერ უბიძგებს კიდეც, გახდეს დამოუკიდებელი, რამდენადაც ეს მისთვის იქნება შესაძლებელი;
- სკოლა ჩამოუყალიბებს მოსწავლეს სხვადასხვა უნარს (კითხვის, წერისა და აზროვნების უნარები, რომელიც დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის არის საჭირო);
- ვიზუალური გზით სწავლებისას გამოყენებული იქნება ნახატმანიპულაციები, (მათემატიკის) დიაგრამები, ილუსტრირებული სახელმძღვანელოები, ვიდეოები, ფორმატები, სლაიდები და სხვა თვალსაჩინოებები;
- გამოყენებული იქნება სხვადასხვა თამაში სოციალური განვითარებისთვის;
- ექნებათ კომპიუტერის გამოყენების საშუალება;
- სსსმ მოსწავლის სწავლების პროცესში აქტიურად იქნება ჩართული სსსმ მოსწავლის მშობელი.

ამჟამად სკოლაში არ ირიცხება სსსმ მოსწავლე, თუმცა სკოლა მზაობას აცხადებს მისი მიღების შემთხვევაში, ყველა პირობა შეუქმნას და შეუდგინოს ინდივიდუალური სასწავლო გეგმა მულტიდისციპლინური გუნდის რეკომენდაციების საფუძველზე.

სასკოლო სასწავლო გეგმას დანართის N 4 სახით თან ერთვის სსსმ მოსწავლისათვის შესადგენი ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ნიმუში.

ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული/გაუთვალისწინებელი დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურება

„ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნების გათვალისწინებით, სკოლას შეუძლია, საკუთარი სურვილისა და შესაძლებლობების ფარგლებში, შესთავაზოს მოსწავლეებს დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურება. ასეთი სახის მომსახურება შესაძლებელია სკოლამ შესთავაზოს მოსწავლეს, როგორც უფასო, ისე ფასიანი მომსახურების სახით. ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული/გაუთვალისწინებელი დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურება შეიძლება იყოს მოსწავლისთვის შეთავაზებული ფაკულტატური ან სავალდებულო საგნის სახით.

სკოლის პოლიტიკიდან გამომდინარე, ძირითადი საგნების შესწავლასთან ერთად, მნიშვნელოვანია არაფორმალური განათლების მიღება, მოსწავლეების განვითარება კულტურული, სპორტული და სხვა მიმართულებებით. სკოლის სურვილია მოსწავლეებს შეეძლოთ მათთვის საინტერესო მომსახურება მიიღონ ადგილზე. ზემოთ აღნიშნული დამატებითი მომსახურების შეთავაზება მოხდა სკოლის მოსწავლეთა გამოკითხვის შედეგების გათვალისწინებით. აგრეთვე გათვალისწინებულია მშობელთა ინტერესებიც.

სკოლის მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინებით, 2025-2026 სასწავლო წელს სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს:

ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელ დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას ფასიანი წრის სახით:

- ✓ ფსიქოლოგია ;
- ✓ ქართული ენა;
- ✓ კარატე;
- ✓ ხელოვნება;
- ✓ ფეხბურთი;
- ✓ თეატრალური ხელოვნება

ან

ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას უფასო ფაკულტატური სახით:

- ✓ ინგლისური ენა;
- ✓ ქართული ენა

სადამრიგებლო პროგრამა

ყველა კლასს ჰყავს დამრიგებელი, რომელსაც ბრძანებით განსაზღვრავს სკოლის დირექტორი.

სკოლას შემუშავებული აქვს დამრიგებლის მუშაობის პროგრამა, **დანართის #5** სახით, რომელიც განსაზღვრავს დამრიგებლის ფუნქციებს, დამრიგებლის მუშაობის სააღმზრდელო პრინციპებს, რეკომენდაციებს სადამრიგებლო საათის პროგრამის განხორციელების შესახებ და ა.შ.

პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის პროგრამა

პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის პროგრამის მიზანია:

- მოსწავლეთა დახმარება საკუთარი ინტერესების, შესაძლებლობების, უნარების, ღირებულებების გაცნობიერებასა და განვითარებაში;
- მოსწავლეთა ინფორმირება საგანმანათლებლო შესაძლებლობების შესახებ;
- მოსწავლეთა აღჭურვა პროფესიული გადაწყვეტილების მიღების თეორიული, პრაქტიკული ცოდნითა და უნარებით.

პროფესიის არჩევა - ნიშნავს არა მხოლოდ სამუშაოს არჩევას, არამედ იმასაც, თუ საზოგადოების რა ჯგუფთან (ეთიკური ნორმები, წესები, პრინციპები, ფასეულობები და ცხოვრების წესი) მოახდენ იდენტიფიკაციას.

პროფესიის არჩევის პროცესი მოსწავლისათვის უფრო ნათელი და თანმიმდევრული გახდება თუკი შემდეგი კითხვების მიხედვით იმსჯელებს: რა უნდა? რა შეუძლია? საჭიროა?

პროფესიის განსაზღვრის პროცესი მრავალ ასპექტს მოიცავს, უპირველესად კი მოსწავლემ უნდა გააცნობიეროს:

- ვინ უნდა გამოვიდეს;
- რომელ სოციალურ ჯგუფს უნდა რომ მიაკუთვნოს თავი;
- ცხოვრების როგორი სტილი სურს;
- რა მიზნებს ისახავს მომავლისათვის.

პროფესიული მოღვაწეობა პიროვნების თვითრეალიზაციისა და საზოგადოებაში დამკვიდრების ძირითადი საშუალებაა. მაგრამ თვითრეალიზაცია მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, როცა ადამიანს აინტერესებს არჩეული პროფესია, გააჩნია მის შესასრულებლად საჭირო უნარი და არსებული სამუშაოს შესრულებით იღებს კმაყოფილებას.

IX და XI კლასებში სკოლის მიერ პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირ(ებ)ის მიერ პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის გაკვეთილების ჩატარების განრიგი.

8 გაკვეთილი - IX კლასში

4 გაკვეთილი - XI კლასში.

პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის პროგრამით გათვალისწინებული სხვა აქტივობების, საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და დასაქმების ობიექტებში ექსკურსიების და სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენლებთან შეხვედრების **განრიგი;**

სკოლა ითანამშრომლებს სხვადასხვა უნივერსიტეტთან ან კოლეჯთან, რომლებთანაც 2025-2026 სასწავლო წელს გაფორმდება თანამშრომლობის მემორანდუმები, რომლის ფარგლებშიც IX-XII კლასის მოსწავლეებს შესაძლებლობა ექნებათ გაეცნონ როგორც საუნივერსიტეტო, ასევე პროფესიული კოლეჯების პროგრამებს. უნივერსიტეტებთან და კოლეჯებთან თანამშრომლობის ზოგადი ასპექტები მოიცავს:

◈ მოსწავლეთა პროფესიული ორიენტაციის ხელშეწყობას სხვადასხვა მიმართულებით ;

◈ მოსწავლეთათვის საუნივერსიტეტო/პროფესიული კოლეჯის პროგრამების გაცნობას;

◈ ღია კარის დღეების ორგანიზებას;

◈ ერთობლივი შემეცნებითი აქტივობების/ღონისძიებების დაგეგმვას და განხორციელებას.

მოსწავლეთა უფლებების დაცვა სასწავლო პროცესში

სკოლა იცავს ,,ზოგადი განათლების შესახებ'' საქართველოს კანონით აღიარებულ მოსწავლის უფლებებსა და თავისუფლებას. მათ შორის:

1. სკოლა უზრუნველყოფს ზოგადი განათლების მიღების თანაბარ ხელმისაწვდომობას ყველა მოსწავლისათვის.
2. სკოლაში უზრუნველყოფილია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლისათვის განათლების მიწოდება შესაბამისი ადამიანური რესურსითა და პროგრამებით/სერვისებით.
3. სკოლა იღებს ყველა გონივრულ ზომას მოსწავლის ცოდნის სამართლიანი შეფასების უზრუნველსაყოფად. დაუშვებელია, მოსწავლის აკადემიური შეფასება განპირობებული იყოს მისი დისციპლინით.
4. სკოლაში ჩარიცხული ყველა მოსწავლე დაცულია არასათანადო მოპყრობის, უყურადღებობისა და შეურაცხყოფისაგან.
5. სკოლის ტერიტორიაზე და სასკოლო დროს უზრუნველყოფილია ჯანმრთელობისათვის, სიცოცხლისა და საკუთრებისათვის უსაფრთხო გარემო და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები.
6. სკოლა იღებს ყველა გონივრულ ზომას სასკოლო დროს, აგრეთვე სკოლის ან მის მიმდებარე ტერიტორიაზე მოსწავლის, მშობლის და მასწავლებლის უფლებებისა და თავისუფლებების ჯეროვანი დაცვის, დარღვევის თავიდან აცილების ან აღკვეთის მიზნით.
7. სკოლაში სასკოლო დისციპლინა დაცულია სკოლის შინაგანაწესით.

8. სკოლის მოსწავლე სარგებლობის მობილობის უფლებით, რის შესახებაც ინფორმირებულია მოსწავლის მშობელი.

9. სკოლის ყველა მოსწავლე და მშობელი ფლობს ინფორმაციას საკუთარი და სხვა მოსწავლეების უფლებებისა და თავისუფლებების, აგრეთვე მათი შეზღუდვის საფუძვლების შესახებ, რის გაცნობასაც უზრუნველყოფს სკოლა დამრიგებლების მეშვეობით.

10. სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეთა ჩართულობას სკოლის მართვაში (მოსწავლეთა თვითმმართველობა,მრჩეველთა საბჭო).

11. სკოლა მოსწავლის მიმართ ქმედების განხორციელებისას გადაწყვეტილებას იღებს მოსწავლის ჭეშმარიტი ინტერესის გათვალისწინებით.

12. მოსწავლეს და მის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს უფლება აქვს, უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად გაასაჩივრონ მის მიმართ მიღებული უკანონო და სხვა არამართლზომიერი ქმედებები.

ტრანზიციის მხარდამჭერი აქტივობები

1. სკოლაში ჩარიცხული მოსწავლეების ადაპტაციის მიზნით სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლეთა ადაპტაციის წესი.
2. ადაპტაციის წესით სკოლა მიზნად ისახავს დაეხმაროს მოსწავლეს შეეგუოს სასწავლო პროცესსა და სასკოლო ცხოვრებას. დაამყაროს წარმატებული კომუნიკაცია სასკოლო საზოგადოებასთან და ჰქონდეს შესაძლებლობა, ჩაერთოს საგაკვეთილო პროცესში;
3. სკოლა ადგენს დეზადაპტაციის ნიშნებს და მიმართავს შესაბამის ზომებს მოსწავლეთა სასწავლო პროცესში ადაპტაციის გაადვილების მიზნით.
4. ადმინისტრაციული საქმეთა მენეჯერი შესაბამისი კლასის დამრიგებელს აწვდის ინფორმაციას ახალი მოსწავლის შესახებ და წინა სკოლიდან მიღებულ პირად საქმეს;
5. აღიარების საფუძველზე სკოლაში ჩარიცხული მოსწავლის შემთხვევაში, სკოლის ადმინისტრაციული საქმეთა მენეჯერი აწვდის კლასის დამრიგებელს მოსწავლის მიერ უცხოეთში მიღებული განათლების შესახებ ინფორმაციას;
6. კლასის დამრიგებელი ახლად ჩარიცხულ მოსწავლეს აცნობს კლასის მასწავლებლებს;
7. ახალი მოსწავლის დასწრების პირველივე გაკვეთილზე (ან დასვენებაზე) დამრიგებელი აცნობს მოსწავლეებს კლასის ახალ მოსწავლეს და აძლევს საკუთარი თავის წარდგენის საშუალებას;
8. ზოგადად დამრიგებელი პირველივე სადამრიგებლო საათს იყენებს მოსწავლეთა გაცნობისა და დაახლოებისთვის;
9. დამრიგებელი მუდმივ კომუნიკაციაშია ახალ მოსწავლესა და მის მშობელთან და იგებს ინფორმაციას მოსწავლის განწყობისა და სასკოლო ცხოვრების შესახებ;
10. დამრიგებელი ახლად ჩარიცხულ მოსწავლეს აცნობს თავის უფლება-მოვალეობებს, შინაგანაწესს, მოსწავლის ქცევის კოდექსს და სხვა საჭირო შიდა

აქტებს, ასევე, სკოლაში ქცევის ზოგად წესებს და უსაფრთხოების ინსტრუქციებს.

სასკოლო კურიკულუმი

სასკოლო კურიკულუმის აგების პრინციპები

სასკოლო კურიკულუმი დაგეგმილია თითოეული **საგნობრივი ჯგუფის სამიზნე ცნებების მიხედვით, რომელთა საფუძველზეც უნდა მოხდეს ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების, ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნებისა და პრინციპების რეალიზება/საგნის სწავლა-სწავლების შედეგების ჩამოყალიბება:**

სამიზნე ცნებების სახით განსაზღვრულია ის ცოდნა, რომელსაც მოსწავლე საგნის ფარგლებში უნდა დაეუფლოს. ცნებები შედეგებთან ერთად უნდა დამუშავდეს მოსწავლისთვის ნაცნობ კონტექსტებში. ეს კონტექსტები **სავალდებულო თემების** სახითაა წარმოდგენილი.

სტანდარტს ახლავს შედეგების მიღწევის ინდიკატორები. ისინი დაჯგუფებულია სამიზნე ცნებების მიხედვით და მიგვითითებს, თუ რა უნდა შეფასდეს სწავლა-სწავლების პროცესში ამა თუ იმ თემის შესწავლისას. ინდიკატორები დაკონკრეტებულია ცალკეულ თემაში წარმოდგენილი შინაარსის გათვალისწინებით.

ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნათა შესაბამისად, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ გაცემული რეკომენდაციების გათვალისწინებით, სკოლას შემუშავებული აქვს დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის სასკოლო კურიკულუმები, რომელიც დანართი N 6 სახით თან ერთვის სასკოლო სასწავლო გეგმას.

საგნობრივი კურიკულუმის აგების პრინციპები

თითოეული საგნობრივი კურიკულუმი აგებულია შემდეგი პრინციპით: ის მოიცავს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ სასწავლო თემებს, გრძელვადიან მიზნებს (სამიზნე ცნებებს, სწავლის შედეგებს), საკითხებს, შემოქმედებით პროდუქტს და სასწავლო რესურსს.

1. **სასწავლო თემა** წარმოადგენს მოსწავლეთათვის ნაცნობ, მათი ასაკობრივი ინტერესებისა და გამოცდილების შესაბამის კონტექსტს, რომელიც სტანდარტის შედეგების, სამიზნე ცნებების, კონკრეტული ქვეცნებებისა და საკითხების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას იძლევა.
2. **გრძელვადიანი მიზნები**

გრძელვადიანი მიზნები მოიცავს სამიზნე ცნებები და სწავლის შედეგებს - რა გრძელვადიანი მიზნით ვასწავლით მოსწავლეს თემას.

ა) სამიზნე ცნებები - განსაზღვრავს იმ ცოდნას, რომელსაც მოსწავლე საგნის ფარგლებში უნდა დაეუფლოს;

ბ) სწავლის შედეგები - განსაზღვრავს მიზნობრივ ორიენტირებს და პასუხობს შეკითხვას: რა უნდა შეეძლოს მოსწავლეს საგნის ფარგლებში საფეხურის ბოლოს?

3. საკითხები - მისი საშუალებით ხდება იმის განსაზღვრა, თუ კონკრეტულად, რა საკითხებით წარიმართება მუშაობა თემის ფარგლებში.

4. შემოქმედებითი პროდუქტით განისაზღვრება თითოეული თემის ფარგლებში მიღწეულია თუ **არა** შუალედური სასწავლო მიზანი და რომლის საშუალებითაც მოსწავლე საგნობრივ საკითხთან/საკითხებთან მიმართებით საკუთარ ცოდნას წარმოაჩენს.

5. სასწავლო რესურსები - აკონკრეტებს რა მასალის მეშვეობით უნდა ისწავლოს მოსწავლემ კონკრეტული თემა

სასკოლო კურიკულუმის განვითარება

სასკოლო კურიკულუმის განვითარება მოხდება ეტაპობრივად, მთელი წლის განმავლობაში. ამ პერიოდში ის გულისხმობს შემდეგი ფაზების მონაცვლეობას:

- კურიკულუმის დაგეგმვა/შემუშავება;
- ინტერვენცია;
- ინტერვენციის პროცესის მონიტორინგი და შეფასება;
- განახლება/ცვლილებების შეტანა და საჭიროებისამებრ მორგება.

კურიკულუმის განვითარების პროცესი ეფუძნება შემდეგ პრინციპებს:

- სასკოლო კურიკულუმი მუშავდება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად;
- ეროვნულ სასწავლო გეგმაში შეტანილი ცვლილებები განაპირობებს კურიკულუმის განახლებას;
- წლის განმავლობაში მონიტორინგისა და შეფასების ეტაპზე ადგილობრივი საჭიროებებისა და შესაძლებლობის შესწავლის საფუძველზე განახლდება სასკოლო კურიკულუმი;

კურიკულუმის განვითარება მუდმივმოქმედი პროცესია, რომელშიც მონაწილეობენ მოსწავლეები, მოსწავლეთა მშობლები, მასწავლებლები და სკოლის დირექცია.

პერსონალის მართვა და განვითარება

პერსონალის მართვისა და განვითარების კუთხით, სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა, რომლის მიზანია, თანამშრომელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა, სკოლის მაღალკვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფა და არსებული კადრების პროფესიული დონის ამაღლება. ასევე, სკოლის მიზანია იმგვარი სამუშაო გარემოს შექმნას, სადაც თითოეულ თანამშრომელს ეძლევა საკუთარი პოტენციალის და პირადი მისწრაფებების რეალიზების შესაძლებლობა.

ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა მოიცავს იმ ამოცანებსა და ღირებულებებს, რომელსაც ეფუძნება ადამიანური რესურსების მართვა, განსაზღვრავს ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების როლს სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაში.

ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა არეგულირებს კადრების მოზიდვასა და შერჩევას, მათ ადაპტაციას სასკოლო გარემოსთან, თანამშრომელთა ადაპტაციის ხელშემწყობ აქტივობებსა და აღნიშნულ პროცესში ჩართულ პირებს, განსაზღვრავს ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების მიზნით სკოლაში განსახორციელებელ აქტივობებს, ადამიანური რესურსების მართვასა და სამუშაოს შესრულების ხარისხის მართვას. ასევე, პროფესიული განვითარებას, მოტივაციის ზრდის მექანიზმებს და შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის პირობებს.

მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

სკოლას საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აქვს შესაბამისი მატერიალური რესურსი და საჭირო ინფრასტრუქტურა. ასევე შემუშავებული აქვს მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი, რომლითაც განსაზღვრულია სკოლის მოსწავლეების, მასწავლებლების და სხვა თანამშრომლების მიერ სკოლის სხვადასხვა რესურსით სარგებლობის პირობები.

სკოლას აქვს საჭირო რაოდენობის მერხები, სკამები, კომპიუტერული ტექნიკა, წიგნადი ფონდი და სხვა რესურსები. შენობაში განთავსებულია საკლასო ოთახები, სასწავლო პროცესისთვის აუცილებელი სივრცეები, როგორიცაა ადმინისტრაციის სამუშაო ოთახები, სამედიცინო კაბინეტი, ბიბლიოთეკა, კომპიუტერული კაბინეტი, სააქტო დარბაზი, საბუნებისმეტყველო ლაბორატორია და რესურსოთახი. სკოლას აქვს ეზო, სადაც განთავსებულია ღია სპორტული მოედანი. სკოლის შენობა ადაპტირებულია შშმ პირებისათვის და უზრუნველყოფილია ინკლუზიური გარემო.

საინფორმაციო რესურსები

სკოლის ბიბლიოთეკაში დაცულია 8300-მდე წიგნადი ფონდი, სადაც მოცემულია მოსწავლეთა ასაკის შესაბამისი ლიტერატურა, სახელმძღვანელოები და პერიოდული გამოცემები. ასევე, კომპიუტერში ჩატვირთულია საინფორმაციო რესურსები როგორც მოსწავლეებისათვის, ისე მასწავლებლებისათვის. გარდა ამისა, სკოლისათვის ხელმისაწვდომია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ შემუშავებული გაიდლაინები, მეთოდური სახელმძღვანელოები და სხვა რესურსები.

სკოლაში უზრუნველყოფილია კომპიუტერული ტექნიკის გამოყენება ღონისძიებებისა და სხვადასხვა პროექტების განხორციელებისათვის, ინფორმაციის მოძიებისთვის. საგანმანათლებლო მიზნებისთვის სკოლის კომპიუტერული კაბინეტით სარგებლობის საშუალება აქვთ მოსწავლეებსა და მასწავლებლებს. სკოლის მოსწავლეთა კომპიუტერით უზრუნველყოფის პროგრამის ფარგლებში, მოსწავლეები აღჭურვილნი არიან პორტაბელური კომპიუტერებით.

სკოლას აქვს ოფიციალური ელექტრონული ფოსტა, ვებ-გვერდი და ასევე, იყენებს ელექტრონულ ჟურნალს. სკოლას აქვს აქტიური გვერდი სოციალურ ქსელში (facebook), რომლითაც უზრუნველყოფს სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებასა და უკუკავშირის მიღებას.

ფინანსური რესურსები

სკოლას აქვს საკუთარი ბიუჯეტი, რომელშიც ასახულია შემოსავალი და გასავალი. სკოლის შემოსავალი შედგება სწავლის საფასურიდან, ვაუჩერული დაფინანსებისგან და დამატებითი ეკონომიკური საქმიანობით მიღებული შემოსავლებისგან.

სკოლის ბიუჯეტი მტკიცდება დეკემბრის თვეში და წლის განმავლობაში ხორციელდება ფაქტობრივი შემოსავლებისა და ხარჯების დაზუსტება.

მოსწავლეთა აღზრდისა და მხარდაჭერის სისტემები

მოსწავლეთა კანონიერი უფლებების დაცვა ხორციელდება სკოლის შინაგანაწესით და სკოლის მიერ შემუშავებული შიდა მარეგულირებელი დოკუმენტებით. სკოლასა და მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს შორის გაფორმებულია საგანმანათლებლო მომსახურების ხელშეკრულება.

სკოლაში შემუშავებულია ბავშვის მიმართ განხორციელებულ ძალადობასთან დაკავშირებული შიდა ინსტრუქცია, რომელიც არეგულირებს ოჯახში და მის გარეთ ბავშვის ძალადობის ყველა ფორმისაგან დაცვის მიზნით, ბავშვზე ძალადობის შემთხვევაში, სკოლის ეფექტური და სწრაფი რეაგირების მექანიზმებს ახორრციელებენ სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის სკოლაში განაწილებული მანდატურები.

სასწავლო წლის დაწყებიდან არაუგვიანეს ერთი თვის ვადაში, სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეთა უფლებებისა და წესების გაცნობას ყველა მოსწავლისათვის. დამრიგებელი სასწავლო წლის დასაწყისში მოსწავლეებს და მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს აცნობს სკოლის შინაგანაწესს, დამრიგებლის მუშაობის პრინციპებს, ქცევის კოდექსს, უსაფრთხოების წესებს.

სკოლაში დაცულია მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმები.

დამრიგებლების მიერ მშობლებსა და მოსწავლეებს მიეწოდებათ ინფორმაცია წლის განმავლობაში გამოცხადებული კონკურსების, ოლიმპიადების, ღონისძიებების და სასკოლო ექსკურსიების შესახებ. მოსწავლეთა მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს დამრიგებლები აცნობენ სკოლის მიერ მიღებულ ყოველ ახალ გადაწყვეტილებას და სკოლის მიერ შეთავაზებული პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ ინფორმაციას.
სკოლა უზრუნველყოფს განათლების თანაბარ ხელმისაწვდომობას ყველას მოსწავლისათვის, მათ შორის სსსმ მოსწავლეებისთვის საჭირო სერვისების შეთავაზებას. სკოლას შემუშავებული აქვს სასკოლო გარემოსთან ადაპტაციის მექანიზმები.